Kia Connect

კონფიდენციალურობის შესახებ შეტყობინება

ბოლო განახლება: 2024 წლის 10 იანვარი

1. შესავალი
2. კონტროლერი
3. მონაცემთა დაცვის ოფიცერი
4. პერსონალური მონაცემების მიზნები, სამართლებრივი საფუძვლები და კატეგორიები
5. აპლიკაცია Kia Connect
6. მთავარი მოწყობილობა და მანქანის სერვისები
7. კიბერ უსაფრთხოების სტანდარტები
8. OTA (ეთერში) განახლებები
9. Kia Connect დიაგნოსტიკა
10. განახლებები
11. Kia Connect-ის მაღაზია და შესყიდვის პროცესი
12. გადახდის პროცესი
13. დამუშავების სხვა აქტივობები
14. თქვენი უფლებები
15. მიმღებები და მიმღებთა კატეგორიები
16. მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადაცემა
17. მონაცემთა შენარჩუნება
18. მონაცემების უსაფრთხოება
19. ხაზგარეშე რეჟიმი (მოდემი გამორთულია)
20. განახლებები
21. განმარტებები
22. ცვლილებები ადგილობრივ კანონში

1. შესავალი

Kia Connect GmbH-ს („**Kia**“, „**ჩვენ**“, „**ჩვენს**“, „**ჩვენი**“) კონფიდენციალურობის შესახებ ეს შეტყობინება („**კონფიდენციალურობის შესახებ შეტყობინება**“), ჩვენი აპლიკაციით („**Kia Connect აპი**“) და შესაბამისი ავტომობილის მთავარი მოწყობილობით („**მთავარი მოწყობილობა**“, ერთად „**სერვისები**“), ჩვენი სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით, პერსონალური მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას ეხება და ჩვენი მომხმარებლებისთვის არის განკუთვნილი, რომლებიც ამ სერვისებს („**თქვენ**“, „**თქვენი**“) იყენებენ.

სერვისების გარდა, Kia-მ შეიძლება თავის მომხმარებლებს, თავიანთ ავტომობილთან ერთად გამოსაყენებლად, გარკვეული ფუნქციების შეძენა შესთავაზოს, როგორებიცაა განახლებები, ან მომხმარებლის ავტომობილის პროგრამული უზრუნველყოფის სხვა დამატებები („**განახლებები**“). კონფიდენციალურობის ეს შეტყობინება, ასეთი განახლებების შეძენასთან დაკავშირებით, ასევე პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ, გარკვეულ ინფორმაციას შეიცავს.

Kia თქვენი პერსონალური მონაცემებისა და თქვენი კონფიდენციალურობის დაცვას ძალიან სერიოზულად ეკიდება და თქვენს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ GDPR-ის და მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის სხვა მოქმედი კანონების შესაბამისად დაამუშავებს.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კონფიდენციალურობის შესახებ ამ შეტყობინების გარდა, საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება თქვენი პერსონალური მონაცემების ცალკე დამუშავების შესახებ გაცნობოთ, მაგალითად, თანხმობის ფორმებში, ან კონფიდენციალურობის ცალკეულ შეტყობინებებში.
ჩვენს მომსახურებებს და განახლებებს ევროპის მასშტაბით ვთავაზობთ. იმის გამო, რომ მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონები და მოთხოვნები, შესაბამის იურისდიქციებში შეიძლება განსხვავდებოდეს, გთხოვთ, თქვენს იურისდიქციასთან დაკავშირებული კონკრეტული ინფორმაციისთვის, პუნქტი 22 (ადგილობრივი კანონში ცვლილებები) იხილოთ.

2. კონტროლერი

2.1. თუ სხვაგვარად მკაფიოდ მითითებული არ არის, Kia Connect GmbH შეგროვებული და დამუშავებული პერსონალური მონაცემების მაკონტროლებელია, როგორც ეს კონფიდენციალურობის ამ შეტყობინებაშია მოცემული.

2.2. თუ კონფიდენციალურობის შესახებ ამ შეტყობინებასთან, ან თქვენი პერსონალური მონაცემების ჩვენს მიერ დამუშავებასთან დაკავშირებით, რაიმე შეკითხვა გაქვთ, ან თუ თქვენი უფლებების გამოყენება გსურთ, შეგიძლიათ, შემდეგ მისამართზე დაგვიკავშირდეთ:
Kia Connect GmbH, Theodor-Heuss-Allee 11, 60486 Frankfurt am Main, Germany
ელფოსტა: info@kia-connect.eu
თქვენ ასევე ჩვენი საკონტაქტო ფორმის გამოყენება შეგიძლიათ, რომელიც აქაა ხელმისაწვდომი: https://connect.kia.com/eu/customer-support/contact-form/
გარდა ამისა, თქვენ ასევე შეგიძლიათ, ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს ქვემოთ, პუნქტ 3-ში მითითებულ საკონტაქტო მონცემებზე დაუკავშირდეთ.

2.3. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ Kia Corporation-თან, 12 Heolleung-ro, Seocho-gu, Seoul, 06797, Republic of Korea, Kia-ს ავტომობილების და პროდუქტების შესაბამისი კიბერ უსაფრთხოების სტანდარტების უზრუნველსაყოფად (დამატებითი დეტალებისთვის, პუნქტი 7 იხილეთ), ერთობლივი კონტროლიორების რანგში ვმოქმედებთ. ჩვენ Kia Corporation-თან შევთანხმდით, რომ თქვენთვის მთავარი საკონტაქტო პუნქტი ვართ, თუ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების, ან დამუშავების აქტივობებთან დაკავშირებით, რომელიც პუნქტ 7-შია მითითებული, Kia Corporation-თან ჩვენი შეთანხმების არსის თაობაზე, რაიმე შეკითხვა გექნებათ. იგივე ეხება შემთხვევებს, როცა ამასთან დაკავშირებით, თქვენი რომელიმე უფლების გამოყენება გსურთ. თუმცა, თქვენ ასევე Kia Corporation-თან პირდაპირ დაკავშირება შეგიძლიათ. ამ შემთხვევაში, GDPR-ის 27-ე მუხლის შესაბამისად, Kia Europe GmbH-ს, როგორც ევროკავშირის უფლებამოსილ წარმომადგენელს მიმართეთ:
Kia Europe GmbH
Kia Corporation-ის მონაცემთა დაცვის წარმომადგენელი
Theodor-Heuss-Allee 11
60486 Frankfurt am Main, Germany
ელფოსტა: dpo@kia-europe.com

2.4. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ Kia Europe GmbH-თან, Theodor-Heuss-Allee 11, 60486 Frankfurt am Main, Germany, ავტომობილის სისტემის OTA განახლებების მიწოდებასთან დაკავშირებით (დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, იხილოთ პუნქტი 8.2), ერთობლივი კონტროლიორების რანგში ვმოქმედებთ. ჩვენ Kia Europe GmbH-თან შევთანხმდით, რომ თქვენთვის მთავარი საკონტაქტო პუნქტი ვართ, თუ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების, ან დამუშავების აქტივობებთან

დაკავშირებით, რომელიც პუნქტ 8.2-შია მითითებული, Kia Europe GmbH-სთან ჩვენი შეთანხმების არსის თაობაზე, რაიმე შეკითხვა გექნებათ. იგივე ეხება შემთხვევებს, როცა ამასთან დაკავშირებით, თქვენი რომელიმე უფლების გამოყენება გსურთ. თუმცა, თქვენ ასევე Kia Europe GmbH-თანპირდაპირ დაკავშირება შეგიძლიათ.

Kia Europe GmbH
მონაცემთა დაცვის ოფიცერი
Theodor-Heuss-Allee 11
60486 Frankfurt am Main, Germany
ელფოსტა: dpo@kia-europe.com

3. მონაცემთა დაცვის ოფიცერი

ჩვენ მონაცემთა დაცვის გარე ოფიცერი („DPO“) დავინიშნეთ. შეგიძლიათ, ჩვენს DPO-ს შემდეგ მისამართზე დაუკავშირდეთ:

Kia Connect GmbH
მონაცემთა დაცვის ოფიცერი
Theodor-Heuss-Allee 11
60486 Frankfurt am Main, Germany
ელფოსტა: dpo@kia-connect.eu

4. პერსონალური მონაცემების მიზნები, სამართლებრივი საფუძვლები და კატეგორიები

ეს ნაწილი 4 პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ზოგად მიმოხილვას გთავაზობთ. დეტალები ჩვენ მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებისა და სამართლებრივი საფუძვლების და იმ პერსონალური მონაცემების კატეგორიების შესახებ, რომლებსაც ვამუშავებთ, ქვემოთ, 5–13 ნაწილებშია მოცემული.

მიზნები

თქვენს პერსონალურ მონაცემებს ძირითადად, ჩვენი სერვისებისა და განახლებების უზრუნველსაყოფად ვამუშავებთ, როგორც მითითებულია კონტრაქტში, რომლის ჩვენთან გაფორმებასაც აპირებთ, ან რომელიც უკვე გააფორმეთ („Kia Connect-ის გამოყენების პირობები“). სერვისებისა და განახლებების შესახებ დეტალები, KiaConnect-ის გამოყენების წესებშია მოცემული.

მთავარი მოწყობილობის კონფიდენციალურობის პარამეტრებში, შეგიძლიათ იპოვოთ დამატებითი ინფორმაცია გარკვეული სერვისების, ან სერვისების კატეგორიების და მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ, ასევე ასეთი სერვისების, ან სერვისების კატეგორიები გააააქტიუროთ და გამორთოთ. როდესაც სერვისს, ან სერვისების კატეგორიას ააქტიურებთ, თქვენ შესაბამისი სერვისის, ან სერვისების კატეგორიის მიწოდებას აშკარად მოითხოვთ.

თუ მანქანაში ინფოტაინმენტის პროგრამული უზრუნველყოფის უახლეს ვერსიას არ იყენებთ, ასეთი სერვისებისა და სერვისების კატეგორიების აქტივაციას და დეაქტივაციას, Kia Connect აპის სერვისების სიიდან შეძლებთ.

პერსონალურ მონაცემებს სხვა მიზნებისთვისაც ვამუშავებთ, რომლებიც ქვემოთ, 5–13 ნაწილებშია ჩამოთვლილი.

ეს მოიცავს პერსონალური მონაცემების დამუშავებას შემდეგისთვის: (i) თქვენთან კომუნიკაცია; (ii) ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა; (iii) პირდაპირი მარკეტინგის აქტივობები; (iv) გამოკითხვების ჩატარება; (v) ჩვენი სერვისების გაუმჯობესება და ახალი სერვისების განვითარება (შესაბამისი მონაცემების ანალიზი სტატისტიკურ და მათემატიკურ მოდელებზეა დაფუძნებული); (vi) Kia-ს შესაბამისი პროდუქტებისა და სერვისების უსაფრთხოდ მიწოდების უზრუნველყოფა; (vii) მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; (viii) ჩვენი ბიზნესის მართვა;

(ix) საჭიროების შემთხვევაში გამოძიების ჩატარება; და (x) სამართლებრივი მოთხოვნების დადგენა, განხორციელება და დაცვა.

სამართლებრივი საფუძვლები

როგორც წესი, თქვენს პერსონალურ მონაცემებს საჭიროებისამებრ ვქმნით, ვაგროვებთ და ვამუშავებთ: (i) თქვენთან ხელშეკრულების დადებამდე, თქვენი მოთხოვნით, ღონისძიებების გასატარებლად („ხელშეკრულების დადება“) (მუხლი 6 (1) ბ) GDPR); (ii) თქვენთან ჩვენი კონტრაქტის შესასრულებლად (მუხლი 6 (1) b) GDPR); ან (iii) იმ ლეგიტიმური ინტერესების მიზნებიდან გამომდინარე, რომელთა მიღწევასაც ჩვენ, ან მესამე მხარე ცდილობს (მუხლი 6 (1) ვ) GDPR). ლეგიტიმურია ინტერესი, როდესაც თქვენი პერსონალური მონაცემების გამოსაყენებლად, საქმიანი ან კომერციული მიზეზი გვაქვს და ეს თქვენს უფლებებს და ინტერესებს არ აზიანებს. დამუშავების გარკვეულ აქტივობებთან დაკავშირებით, თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ: (i) იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია იმ სამართლებრივი ვალდებულების შესასრულებლად, რომლებსაც ვექვემდებარებით (მუხლი 6 (1) c) GDPR); ან (ii) თუ კონკრეტული მიზნით, თქვენი პერსონალური მონაცემების შესაბამის დამუშავებაზე, თქვენი წინასწარი თანხმობა მივიღეთ (მუხლი 6 (1) ა) GDPR). გთხოვთ, დამუშავებასთან დაკავშირებული ქმედების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, 5–13 პუნქტები იხილოთ.

პერსონალურ მონაცემთა კატეგორიები

იმ პერსონალურ მონაცემთა კატეგორიები, რომლებსაც ვამუშავებთ, შემდეგია:

- **პერსონალური დეტალები:** მონაცემები, რომლებიც გეხებათ უშუალოდ თქვენ, როგორც პიროვნებას, ან თქვენს დემოგრაფიულ მახასიათებლებსა თუ პრეფერენციებს (მაგ. სახელ(ებ)ი, ქვეყანა, სასურველი ენა);
- **საკონტაქტო დეტალები:** მონაცემები, რომლებიც კომუნიკაციის, ან გადამოწმების საშუალებას იძლევა (მაგ. ელფოსტის მისამართი, მობილურის ნომერი);
- **მომხმარებლის პროფილის ინფორმაცია**: მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია მომხმარებლის თქვენს პროფილთან, მათ შორის, Kia-ს ანგარიშში შესვლის დეტალები (მაგ. მომხმარებლის სახელი, პაროლი, სისტემის დაყენების ინფორმაცია, ნავიგაციის დაყენების ინფორმაცია, პროფილის სურათი (თუ მოწოდებულია), პროფილის სახელი);
- **საკონტრაქტო დეტალები:** მონაცემები, რომლებიც ეხება ხელშეკრულების დადებას, Kia Connect-ის გამოყენების პირობებზე დათანხმების ჩათვლით (მაგ. კონტრაქტის შინაარსი, დადების ტიპი და თარიღი, ხანგრძლივობა);
- **თანხმობის ჩანაწერები:** თქვენ მიერ გაცემული თანხმობის ჩანაწერები ისევე, როგორც თარიღი და დრო, თანხმობის საშუალებები და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (მაგ. თანხმობის საგანი);
- **საკომუნიკაციო მონაცემები:** მონაცემები, რომლებიც კომუნიკაციის შინაარსს აყალიბებს (მაგ. საუბრის შინაარსი, წერილობითი კორესპონდენცია);
- **ავტომობილის მონაცემები:** ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი (“**VIN**”) და ინფორმაცია წარმოების თარიღის, პირველი რეგისტრაციის თარიღის, მანქანის რეგისტრაციის ნომრის, ბოლო ტექდათვალიერების თარიღის, ტექდათვალიერების შემდეგი თარიღის, მანქანის პროგრამული უზრუნველყოფის ვერსიის, მანქანის ფუნქციებისა და კონფიგურაციების (მაგ. ძრავი/აკუმულატორი, მუხრუჭი, ტრანსმისია, გადაცემათა კოლოფი, ხარჯი,

კონდიციონერი, გათბობა, გამაფრთხილებელი და დამხმარე სისტემები, საჭე, საბურავები, სიჩქარე, ტექნიკური და სტაბილურობასთან დაკავშირებული სისტემები, მთავარი მოწყობილობა) შესახებ.

- **ინფორმაცია ავტომობილის სტატუსის შესახებ:** მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია თქვენი ავტომობილის სტატუსთან (მაგ. ოდომეტრის სტატუსი, გათბობის, ვენტილაციისა და კონდიცირების სტატუსი; გალღობის სტატუსი; ძრავის სტატუსი; კარების, საბარგულის, ფანჯრების, კაპოტისა და ლუქის სტატუსი; საბურავების სტატუსი; ნათურების სტატუსი; ავარიული ნათურების სტატუსი; ჭკვიანი გასაღების სტატუსი; შუშების საწმენდი სითხისა და სამუხრუჭე/ძრავის ზეთის სტატუსი; დამუხტვის შესახებ ინფორმაცია; ანთების სტატუსი; გადაცემის სტატუსი; სავარძლის სტატუსი; აკუმულატორის, საწვავისა და დაცლამდე მანძილის სტატუსი; აკუმულატორის კონდიცირების სტატუსი; დიაგნოსტიკური მონაცემები; მანქანის სტატუსის შესახებ გაფრთხილების ტიპი);
- **დადასტურების მონაცემები:** მონაცემები, რომლებიც შესაძლებელს ხდის შეყვანილი მონაცემებისა და მოქმედებების დადასტურებას (მაგ. (დადასტურება) PIN-კოდი, აქტივაციის კოდები, SMS ავთენტიფიკაციის კოდები, ვერიფიკაციის სტატუსი, ავტორიზაციის ტოკენიზირებული მონაცემები);
- **ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები:** გენერირებული იდენტიფიკატორები, რომლებიც თქვენ შესახებ სხვა მონაცემებთან დაკავშირებით გამოიყენება, მაგრამ რომლებიც არ შეიძლება პირდაპირ მოგეკუთვნოთ დამატებითი ინფორმაციის გამოყენების გარეშე (მაგ. მომხმარებლის ID, მანქანის ID, მოწყობილობის ID, ციფრული გასაღების ID, თანმიმდევრობის ID, მძღოლის ID , სერვისის ID, ხმის ონლაინ ჩაწერის ID, მომხმარებლის პროფილის ID);
- **მონაცემები მდებარეობისა და მოძრაობის შესახებ:** მონაცემები, რომლებიც თქვენი მანქანის, ან მოწყობილობების მდებარეობასთან და/ან მოძრაობასთანაა დაკავშირებული (მაგ. მდებარეობის მონაცემები (GPS მონაცემები));
- **მგზავრობები/ზოგადი ინფორმაცია მართვის შესახებ:** მონაცემები, რომლებიც უკავშირდება ავტომობილით განხორციელებულ მგზავრობებს (მაგ. გარბენი, მაქსიმალური სიჩქარე, საშუალო სიჩქარე, მანძილი; საწვავი, აკუმულატორი და/ან ენერგიის მოხმარება; მართვის თარიღი და დრო, მართვის რეჟიმები, ინფორმაცია აჩქარების/შენელების შესახებ; უქმი სვლით ძრავის მუშაობის დრო);
- **გამოყენებაზე დაფუძნებული მონაცემები:** მონაცემები, რომლებიც მოწოდებულია მანქანასთან, ან სერვისებთან ურთიერთქმედების საშუალებით, ან გენერირებულია მანქანის, ან სერვისების გამოყენებით (მაგ. სერვისის გააქტიურების და სერვისის გამოყენების თარიღი, დრო და ხანგრძლივობა; მისამართი, გაჩერების პუნქტები და/ან ინფორმაცია ინტერესის წერტილების შესახებ; ინფორმაცია მარშრუტის შესახებ, მულტიმედიასთან დაკავშირებული გამოყენება (მაგ. საყვარელი რადიოსადგურების სია), არჩეული შეზღუდვები (მაგ. სიჩქარის ლიმიტი, მანძილის ლიმიტი, შეზღუდული ზონები), ინფორმაცია სპორტული ღონისძიებების შესახებ, ინფორმაცია კალენდრის, მუსიკისა და მუსიკის წყაროს შესახებ);

- **ტექნიკური მონაცემები:** ტექნიკური ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მანქანაში არსებულ მოწყობილობებთან, ან პროგრამულ უზრუნველყოფასთან, ან სხვა ისეთ მოწყობილობებთან, რომლებიც სერვისებისთვის, ან მათთან დაკავშირებით გამოიყენება (მაგ. IP მისამართი, SIM ბარათის შესახებ ინფორმაცია, ინფორმაცია კავშირგაბმულობის ოპერატორის შესახებ, სანავიგაციო მოწყობილობის შესახებ ინფორმაცია, ენის პარამეტრები, დროის ანაბეჭდები, UUID, მობილური მოწყობილობის მონაცემები (მაგ. მოწყობილობის ტიპი, OS ვერსია), აპის ვერსია და აპის ავარიის შესახებ ინფორმაცია, ჟურნალის ფაილები);
- **მონაცემები კიბერუსაფრთხოების შესახებ:** მონაცემები, რომლებიც კიბერუსაფრთხოების მოვლენებს უკავშირდება (მაგ. ინფორმაცია უსაფრთხოების აღმოჩენილი მოვლენის შესახებ და უსაფრთხოების მოვლენის დროის ანაბეჭდები);
- **OTA-სთან დაკავშირებული მონაცემები:** OTA-ს (უსადენო ქსელით) განახლებებთან დაკავშირებით გენერირებული, ან შექმნილი მონაცემები (მაგ. დიაგნოსტიკური მონაცემები (შეცდომის/პრობლემის კოდები, პროგრამული უზრუნველყოფის აღდგენის შედეგები), გამოყენების ისტორია, მიწოდების სტატუსი, განახლების შედეგი);
- **მონაცემები ჩანაწერების შესახებ:** მანქანის კამერების ჩანაწერების საშუალებით შეგროვებული გამოსახულებების/ვიდეოების მონაცემები; „ონლაინ ხმის ამოცნობის“ სერვისის გამოყენებით შეგროვებული ხმოვანი მონაცემები;
- **დინამიკური ინფორმაცია საგზაო მოძრაობის შესახებ:** მონაცემები, რომლებიც შერჩეულ მარშრუტებზე საგზაო სიტუაციასთან არის დაკავშირებული (მაგ. ინფორმაცია საგზაო მოძრაობის შესახებ და მარშრუტის შესახებ ინფორმაცია);
- **ინფორმაცია ციფრული გასაღების შესახებ:** მონაცემები, რომლებიც ეხება „ციფრული გასაღების“ სერვისს (მაგ. ციფრული გასაღების ტიპი, წვდომის ავტორიზაცია/პროფილი, ფიზიკური ბრელოკის ID, გაზიარებული ციფრული გასაღებები, დიაგნოსტიკა);
- **ინფორმაცია ამინდის შესახებ:** მონაცემები, რომლებიც ამინდთანაა დაკავშირებული.
- **ინფორმაცია დილერის შესახებ:** მონაცემები, რომლებიც Kia-ს თქვენთვის სასურველ დილერს, ან თქვენს მხარეში Kia-ს დილერებს ეხება (მაგ. დილერის სახელი, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია და სამუშაო საათები);
- **შეძენის დეტალები:** ინფორმაცია შეძენილი განახლებების შესახებ;
- **შეხედულებები და მოსაზრებები:** ნებისმიერი შეხედულება და მოსაზრება, რომელსაც ჩვენ გვიზიარებთ, მაგ., გამოხმაურება და გამოკითხვაზე პასუხები.

წყაროები

თუ კონფიდენციალურობის შესახებ ამ შეტყობინებაში სხვაგვარად არ არის მითითებული, 5–13 ნაწილებში ჩამოთვლილ პერსონალურ მონაცემებს უშუალოდ თქვენ გვაწვდით (მაგ. Kia Connect აპში გარკვეული პერსონალური მონაცემების შეყვანით), ან უშუალოდ თქვენი ავტომობილიდან ვაგროვებთ (მაგ., მისი

სენსორებიდან და შესაბამისი აპლიკაციებიდან, რომლებზე წვდომაც მთავარი მოწყობილობის მეშვეობით ხორციელდება).

თქვენი უფლებაა, თქვენი პერსონალური მონაცემები არ მოგვაწოდოთ

თქვენ უფლება გაქვთ, პერსონალური მონაცემები არ მოგვაწოდოთ. თუმცა გაითვალისწინეთ, რომ თუ პერსონალურ მონაცემებს არ მოგვაწვდით, ჩვენი სერვისებისა და განახლებების უპირატესობებით სრულად ვერ ისარგებლებთ და ვერც თქვენი (ზოგიერთი) მოთხოვნის დამუშავებას ვერ შევძლებთ, (მაგალითად, აუცილებელი მონაცემების გარეშე, თქვენი მოთხოვნების დამუშავებას ვერ შევძლებთ).

მესამე მხარის მიერ, ავტომობილის ან სერვისების გამოყენება

როგორც წესი, ინფორმაცია, რომელსაც კონფიდენციალურობის შესახებ ამ შეტყობინებაში, ჩვენ მიერ, მონაცემთა დამუშავების ქმედებების შესახებ ვაწვდით, ასევე იმ შემთხვევებზე ვრცელდება, როდესაც მესამე მხარე იყენებს ავტომობილს, რომლისთვისაც თქვენ სერვისები გააააქტიურეთ, ან მათზე დარეგისტრირდით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ დამუშავების აქტივობები, როგორც ეს კონფიდენციალურობის ამ შეტყობინებაშია მოცემული, ძირითადად ავტომობილის შესახებ ინფორმაციას ეხება.

ამიტომ ჩვეულებრივ, ვერ ვახერხებთ იმ ადამიანის განსაზღვრას, ვინც ავტომობილს მართავს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი პირი თავისი პირადი პროფილით არის შესული, ან ამ პირთან დაკავშირებული სხვა იდენტიფიკატორები მოგეწოდათ. KiaConnect-ის გამოყენების პირობები მოითხოვს, რომ მესამე მხარეებს (ანუ ავტომობილის სხვა მომხმარებლებს/მძღოლებს) აცნობოთ: (i) სერვისების გააქტიურების შესახებ; (ii) კონფიდენციალურობის ამ შეტყობინებაში აღწერილი დამუშავების აქტივობების შესახებ და (iii) ის ფაქტი, რომ გარკვეული სერვისების მიწოდება, მდებარეობის მონაცემების (GPS მონაცემები) შეგროვებას და დამუშავებას მოითხოვს.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თუ Kia Connect აპს სხვა პირი იყენებს და იმავე ავტომობილთან არის დაკავშირებული, რომელთანაც თქვენ (ავტომობილის ერთობლივად გამოყენების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, Kia Connect-ის გამოყენების პირობების 4.1.2 პუნქტი იხილეთ), მასვე Kia Connect აპში (სერვის „ჩემი ავტომობილის პოვნა და პირველი მილის ნავიგაცია“ გამოყენებით) თავისი ანგარიშის მეშვეობით, ავტომობილის მდებარეობის მონაცემების (GPS მონაცემები) ნახვა მაშინაც კი შეუძლია, როდესაც ავტომობილს მოცემულ მომენტში იყენებთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანი თქვენს მარშრუტებზე წვდომას ვერ შეძლებს, მას ავტომობილის მდებარეობის რეალურ დროში დანახვა შეუძლია.

5. აპლიკაცია Kia Connect

5.1. რეგისტრაცია და შესვლა

<u>რეგისტრაციისა და სისტემაში შესვლის პროცესები შემდეგს მოიცავს:</u>

5.1.1. Kia Connect აპში რეგისტრაციის პროცესი: Kia Connect აპზე დასარეგისტრირებლად, თქვენ „**Kia-ს ანგარიში**“ უნდა გქონდეთ, ან უნდა შექმნათ, Kia Connect აპში თქვენი Kia-სანგარიშის შესვლის დეტალების გამოყენებით დარეგისტრირდეთ და Kia Connect-ის გამოყენების პირობებს დაეთანხმოთ. Kia-ს ანგარიშის გამოყენება ასევე Kia-ს ჯგუფის სხვა წევრების, ან ზოგიერთი მესამე მხარის მიერ, ევროპაში მოწოდებულ სერვისებზე დასარეგისტრირებლად არის შესაძლებელი. Kia-ს ანგარიშთან დაკავშირებით, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დეტალები, კონფიდენციალურობის შესახებ ცალკე შეტყობინებაშია მოცემული, რომელიც აქ არის ხელმისაწვდომი: https://connect.kia.com/eu/kia-account-docs/

საბოლოო მომხმარებლის მოწყობილობას (მაგ. სმარტფონს), რომელზეც Kia Connect აპია დაინსტალირებული და შესაბამის ავტომობილს შორის კავშირის დამყარება დამატებით დადასტურებას საჭიროებს, რისთვისაც დასადასტურებელ PIN-ს გაგიზიარებთ.
ამ მიზნით შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება: პერსონალური დეტალები, საკონტაქტო დეტალები, საკონტრაქტო დეტალები, მანქანის მონაცემები და დადასტურების მონაცემები.

5.1.2. **შესვლის პროცესი**: Kia Connect აპით მოწოდებული სერვისების გამოსაყენებლად, ან განახლებების შესაძენად, Kia Connect აპში უნდა შეხვიდეთ. სისტემაში შესვლის შემდეგ, თქვენი Kia-ს ავტომობილ(ებ)ის დამატება და წაშლა და სერვისების გამოყენება, ან განახლებების შეძენა შეგიძლიათ.
ამ მიზნით შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება: ინფორმაცია მომხმარებლის პროფილის შესახებ.
სამართლებრივი საფუძველი: რეგისტრაციისა და სისტემაში შესვლის პროცესებთან დაკავშირებით პერსონალური მონაცემების დამუშავება ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად ან ჩვენთან ხელშეკრულების დასადებად (მუხლი 6(1) ბ) GDPR) არის აუცილებელი.

5.2. **მომხმარებლის პროფილი**
მომხმარებლის პროფილთან დაკავშირებული სერვისები და ფუნქციები შემდეგს მოიცავს:

5.2.1. **პროფილის სარეზერვო კოპირება და აღდგენა:** ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, Kia Connect აპში მანქანის პარამეტრების შესახებ ინფორმაციის სარეზერვო ასლი შექმნათ და ის თქვენს მანქანაში აღადგინოთ.
ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება: საკონტაქტო ინფორმაცია, მომხმარებლის პროფილის შესახებ ინფორმაცია, ავტომობილის მონაცემები, დადასტურების მონაცემები, მონაცემები მდებარეობისა და მოძრაობის შესახებ, გამოყენებაზე დაფუძნებული მონაცემები.

5.2.2. **პერსონალური კალენდრის/ნავიგაციის სინქრონიზაცია:** ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, Google Calendar-ის ან Apple Calendar-ის სინქრონიზაცია, სმარტფონზე მთავარი მოწყობილობის კალენდრის ინტეგრირებული ფუნქციით განახორციელოთ. ეს ასევე საშუალებას გაძლევთ, მთავარი მოწყობილობის ეკრანზე პერსონალური კალენდარი იხილოთ და ის დანიშნულების დასაყენებლად გამოიყენოთ. ეს სერვისი Google Calendar-თან და Apple Calendar-თან თავსებადია.
ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება: საკონტაქტო მონაცემები, ავტომობილის მონაცემები, დადასტურების მონაცემები, ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები, გამოყენებაზე დაფუძნებული მონაცემები.
სამართლებრივი საფუძველი: მომხმარებლის პროფილთან დაკავშირებულ სერვისებთან მიმართებით პერსონალური მონაცემების დამუშავება, ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად (მუხ. 6 (1) ბ) GDPR) არის აუცილებელი.

5.3. **დისტანციური მართვა**
დისტანციური მართვის სერვისები შემდეგს მოიცავს:

5.3.1. **დისტანციური კლიმატ კონტროლი**: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, Kia Connect აპლიკაციის საშუალებით, თქვენი ელექტრომობილის კონდიცირება, გალღობის ფუნქციების ჩათვლით, დისტანციურად აკონტროლოთ და დაგეგმოთ.

5.3.2. **დისტანციური დამუხტვა (მხოლოდ ელექტრო და დასამუხტი ჰიბრიდული ავტომობილები)**: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, ელექტრო და დასამუხტი ჰიბრიდული ავტომობილის აკუმულატორის დამუხტვა დისტანციურად დაიწყოთ და შეაჩეროთ და დამუხტვა Kia Connect აპლიკაციის მეშვეობით დაგეგმოთ.

5.3.3. **კარების დისტანციური მართვა**: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, მომხმარებლის განსაზღვრული ინტერფეისის საშუალებით, მანქანის კარები დისტანციურად ჩაკეტოთ/ გახსნათ. თქვენ ყველა კარის ჩაკეტვას, ან გახსნას შეძლებთ. ამ სერვისის გამოყენებისას უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველსაყოფად, სერვისი რამდენიმე წინაპირობას შეამოწმებს. ამ სერვისს ისეთ სიტუაციებში დახმარება შეუძლია, როდესაც არ გახსოვთ, ამ მოქმედების დისტანციურად შესრულების მეშვეობით, მანქანა სწორად ჩაკეტეთ თუ არა.

5.3.4. **დისტანციურად გათბობადი და ვენტილირებადი სავარძლები (მხოლოდ ელექტრომობილები)**: ეს სერვისი თქვენი ელექტრომობილის წინა და უკანა სავარძლების გათბობის და ვენტილაციაის დისტანციურად კონტროლის საშუალებას გაძლევთ.

5.3.5. **ფანჯრის დისტანციური მართვა**: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, თქვენი მანქანის ფანჯრები დისტანციურად მართოთ.

5.3.6. **საფრთხის ნათურის დისტანციური კონტროლი**: ეს სერვისი საფრთხის ნათურების დისტანციურად გამორთვის საშუალებას გაძლევთ.

5.3.7. **დასამუხტი ხუფის დისტანციური კონტროლი**: ეს სერვისი თქვენი მანქანის დასამუხტი ხუფის დისტანციურად კონტროლის საშუალებას გაძლევთ.

5.3.8. **დისტანციური საბარგული**: ეს სერვისი, Kia Connect აპლიკაციის მეშვეობით, მანქანის საბარგულის დისტანციურად გახსნის საშუალებას გაძლევთ.

5.3.9. **აკუმულატორის დისტანციური კონდიცირება**: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, Kia Connect აპლიკაციის მეშვეობით, ელექტრომობილის აკუმულატორის კონდიცირება დისტანციურად ჩართოთ და გააჩეროთ.

5.3.10. **დისტანციური განათება:** ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, Kia Connect აპლიკაციის საშუალებით, საფრთხის მოციმციმე განათება მოკლე დროით გააააქტიუროთ.

5.3.11. **დისტანციური საყვირი და შუქი**: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, Kia Connect აპლიკაციის მეშვეობით, საფრთხის მოციმციმე შუქი და საყვირის სიგნალი, მოკლე პერიოდის განმავლობაში გააააქტიუროთ.

5.3.12. **გაფრთხილება ავტომობილის შესახებ:** როდესაც ავტომობილის რომელიმე ფანჯარა ღიაა და ანთების სისტმა გამორთულია, Kia Connect აპში შეტყობინება გამოჩნდება.

<u>ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება:</u> ავტომობილის მონაცემები, ინფორმაცია ავტომობილის სტატუსის შესახებ, მდებარეობისა და მოძრაობის მონაცემები, ტექნიკური მონაცემები. <u>სამართლებრივი საფუძველი:</u> დამუშავება ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად (მუხ. 6 (1) ბ) GDPR) არის აუცილებელი.

5.4. **მდებარეობაზე დაფუძნებული დისტანციური სერვისები**
მდებარეობაზე დაფუძნებული დისტანციური სერვისები შემდეგს მოიცავს:

5.4.1. **ავტომობილისთვის გაგზავნა**: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, ინტერესის წერტილი (POI) მანქანის სანავიგაციო სისტემაში გაგზავნოთ და POI დაუყოვნებლივ

გამოიყენოთ (მაგ. მარშრუტის დაგეგმვისას, დანიშნულების ადგილი) მას შემდეგ, რაც ავტომობილის ანთების სისტემა ჩაირთვება.

5.4.2. **ჩემი ავტომობილის პოვნა დაპირველი მილის ნავიგაცია**: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, ავტომობილის მდებარეობა განსაზღვროთ და სმარტფონის გამოყენებით, მისი მიმართულებით მარშრუტი შეადგინოთ. ავტომობილის მდებარეობა Kia Connect აპში გამოისახება. გაითვალისწინეთ, რომ თუ სხვა ადამიანი Kia Connect აპს იყენებს და იმავე ავტომობილთან არის დაკავშირებული, რომელთანაც თქვენ (ავტომობილის გაზიარების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, Kia Connect-ის გამოყენების პირობების 4.1.2 პუნქტი იხილეთ), ამადამიანს ასევე შეუძლია, ავტომობილის მდებარეობის მონაცემები (GPS მონაცემები), მის KiaConnect აპის ანგარიშში („ჩემი ავტომობილის პოვნა და პირველი მილის ნავიგაცია“ სერვისის გამოყენებით), მაშინაც კი ნახოს, თუ ამ დროს ავტომობილით სარგებლობთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანს თქვენს მარშრუტებზე პირდაპირი წვდომა არ ექნება, ის შეიძლება რეალურ დროში, ავტომობილის მდებარეობას ხედავდეს.

5.4.3. **ბოლო მილის ნავიგაცია**: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, მანქანის გაჩერების შემდეგ, საბოლოო დანიშნულების ადგილამდე ნავიგაცია, თქვენი სმარტფონის გამოყენებით განაგრძოთ.
<u>ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება:</u>
პერსონალური დეტალები, ავტომობილის მონაცემები, მდებარეობისა და მოძრაობის მონაცემები, მგზავრობის/მართვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, გამოყენებაზე დაფუძნებული მონაცემები, ტექნიკური მონაცემები.
<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად (მუხლი 6(1) ბ) GDPR), დამუშავება აუცილებელია.

5.5. **ინფორმაცია ავტომობილის ექსპლუატაციისა და დიაგნოსტიკის შესახებ**

5.5.1. **ავტომობილის მდგომარეობა**: Kia Connect აპში ეს სერვისი, ავტომობილის შემდეგ ინფორმაციას აჩვენებს:
კარის სტატუსი; დამუხტვის კარის სტატუსი; საბარგულის/კაპოტის სტატუსი; კლიმატის სტატუსი; აკუმულატორის დამუხტვის მდგომარეობა; დამტენი ჩანგლის სტატუსი; დამუხტვის სტატუსი (მხოლოდ ელექტრომანქანები); საწვავის დონე (მხოლოდ საწვავი/ჰიბრიდული მანქანები); სავარძლების გათბობისა და ვენტილაციის სტატუსი; ფანჯრების სტატუსი; ლუქის სტატუსი; 12 ვ აკუმულატორის სტატუსი; განათების სტატუსი.

5.5.2. **მოხსენება ავტომობილზე**: მოხსენებას Kia Connect აპში იღებთ, რომელიც ავტომობილის დიაგნოსტიკის შესახებ ინფორმაციას და მართვის სტილის შესახებ (ავტომობილის დაძვრის რაოდენობა, მართვის მანძილი და მართვის დრო/უქმობის დრო) ინფორმაციას მოიცავს. ეს გაცნობებთ პრობლემებს, რომლებიც ტექნიკურ მომსახურებას, ან შეკეთებას საჭიროებს და გვაწვდის ინფორმაციას პრობლემის სიმძიმის, შეკეთების/მომსახურების გადაუდებლობისა და რეკომენდებული ქმედებების შესახებ.

5.5.3. **ავტომობილის დიაგნოსტიკა**: ავტომატური დიაგნოსტიკის სერვისის უზრუნველყოფა. ანთების სისტემის ჩართვისას, მანქანა ავტომატურად ატარებს დიაგნოსტიკურ სკანირებას (დიაგნოსტიკის პრობლემების კოდი („DTC“)). თუ გაუმართაობა გამოვლინდა, თქვენ მიიღებთ შეტყობინებას, რომელშიც გაუმართაობა, მისი სიმძიმე და რეკომენდებული ქმედებებია განმარტებული.

5.5.4. **ენერგიის მოხმარება (მხოლოდ ელექტრომობილები)**: ეს სერვისი Kia Connect აპში, ენერგიის მიმდინარე და საშუალო მოხმარებას, მგზავრობის მანძილს და

ენერგიის აღდგენის ინფორმაციას ვიზუალურად ასახავს.

5.5.5. **მართვის უსაფრთხოების ქულა**: ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, Kia Connect აპში მართვის უსაფრთხოების ქულა („**მართვის უსაფრთხოების ქულა**“) აჩვენოთ, რომელიც თქვენი მართვის ისტორიას ეფუძნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გავაანალიზებთ თქვენს ქცევას თითოეული მგზავრობის განმავლობაში, მათ შორის, აჩქარებისა და დამუხრუჭების სტილს, საშუალო და მაქსიმალურ სიჩქარესა და მართვის საათებს. მართვის უსაფრთხოების ქულა 187 დღის განმავლობაში შეგროვებული მონაცემებიდან გამოითვლება, ანუ მართვის უსაფრთხოების ნაჩვენები ქულა ბოლო 187 დღის შეჯამებული მონაცემების საფუძველზე, თქვენი მართვის ქცევის ინტერპრეტაციას წარმოადგენს.
ჩვენ მოვიწვიეთ LexisNexis Risk Solutions (Europe) Limited („**LNRSE**“), რათა დაგვხმარებოდა შესაბამისი მონაცემების ანალიზში (სერვისის ამ პროვაიდერის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. ნაწილი 15). ყველა მონაცემი, რომელსაც LNRSE-ს ვუზიარებთ, ფსევდონიმიზებულია. გაითვალისწინეთ, რომ თუ მანქანას სხვებს უზიარებთ, მართვის უსაფრთხოების ქულა ყველა მძღოლის მიერ განხორციელებულ მგზავრობასა და მათ კომბინირებულ ქცევას ასახავს. შესაბამისად, თქვენ მოგეთხოვებათ, თქვენი მანქანის სხვა მძღოლებს ამ სერვისის გააქტიურების შესახებ აცნობოთ. მართვის უსაფრთხოების ქულის შესახებ ინფორმაცია შეიძლება იმ მძღოლებმაც ნახონ, რომლებიც თქვენს მანქანას იზიარებენ. ამ სერვისის დეაქტივაციის შემთხვევაში, მართვის უსაფრთხოების ყველა ქულა სამუდამოდ წაიშლება.

5.5.6. **ჩემი მგზავრობები:** ეს სერვისი ყოველი მგზავრობის შეჯამებას (ბოლო 90 დღის განმავლობაში) გთავაზობთ თარიღისა და დროის, საშუალო და მაქსიმალური სიჩქარის, გავლილი მანძილისა და მგზავრობის დროის მითითებით .

<u>ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება:</u>
ავტომობილის მონაცემები, ინფორმაცია ავტომობილის სტატუსის შესახებ, ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები, მდებარეობისა და მოძრაობის მონაცემები, მგზავრობის/მართვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, გამოყენებაზე დაფუძნებული მონაცემები, ტექნიკური მონაცემები.
<u>სამართლებრივი საფუძველი:</u> დამუშავება ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად (მუხ. 6 (1) ბ) GDPR) არის აუცილებელი.

5.6. **დისტანციური მონიტორინგი და გაფრთხილებები**
დისტანციური მონიტორინგისა და გაფრთხილებების სერვისი შემდეგს მოიცავს:

5.6.1. **ძარცვის სიგნალიზაცია (მხოლოდ მანქანებისთვის, რომლებიც ძარცვის სიგნალიზაციის სისტემით არის აღჭურვილი)**: ყოველთვის, როცა ძარცვის სიგნალიზაცია გაისმის, Kia Connect აპში შეტყობინება გამოჩნდება.

5.6.2. **აკუმულატორის განმუხტვის სიგნალიზაცია**: როდესაც 12-ვოლტიანი აკუმულატორის მუხტის მდგომარეობა გარკვეულ დონეზე დაბლა დაეცემა, Kia Connect აპში შეტყობინება გამოჩნდება.

5.6.3. **უკანა მგზავრის სიგნალიზაცია**: როდესაც უკანა სავარძელზე მოძრაობა გამოვლინდება და მანქანა პარკირების რეჟიმში იქნება, Kia Connect აპში შეტყობინება გამოჩნდება.

5.6.4. **ავტომობილის უმოქმედობის სიგნალიზაცია**: როდესაც ავტომობილი პარკინგის საფეხურზეა, ძრავი კი მუშაობს და კარი ღიაა, Kia Connect აპში შეტყობინება გამოჩნდება.

5.6.5. **მაღალი ძაბვის აკუმულატორის მონიტორინგის გამაფრთხილებელი სისტემა (მხოლოდ ელექტრომობილები)**: მაღალი ძაბვის აკუმულატორის მდგომარეობის მონიტორინგი ხდება: როდესაც Kia Connect აპში გაუმართაობა გამოვლინდება და მთავარ მოწყობილობაზე შეტყობინება გამოჩნდება. თუ გაუმართაობამ ავტომობილის დაზიანება, ან მანქანაში, ან მის ფარგლებს გარეთ, შეიძლება თქვენი, ან სხვა პირების ფიზიკური ზიანი გამოიწვიოს, ჩვენ ამ ინფორმაციას და თქვენი მანქანის საიდენტიფიკაციო ნომერს (VIN), Kia-ს გაყიდვების ეროვნულ კომპანიას, ან Kia-ს დისტრიბუტორს გავუზიარებთ, რომელიც შეიძლება პირდაპირ დაგიკავშირდეთ, რათა გაუმართაობისა და დაზიანების, ან ფიზიკური ზიანის პოტენციური რისკის შესახებ გაგაფრთხილოთ. ჩვენგან ინფორმაციის მიღებისთანავე, Kia-ს შესაბამისი ეროვნული გაყიდვების კომპანია, ან Kia-ს დისტრიბუტორი, ასეთ ინფორმაციას, როგორც ცალკე და დამოუკიდებელი კონტროლერი დაამუშავებს. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ ასეთ ინფორმაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში გავაზიარებთ, როდესაც გაუმართაობა მძიმედ ჩაითვლება და მანქანის დაზიანების, ან ფიზიკური დაზიანების რისკი არსებობს.

5.6.6. **Valet Parking რეჟიმი:** ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, Kia Connect აპში აკონტროლოთ ავტომობილის მდებარეობა, დრო, როცა ანთება უკანასკნელად გამოირთო, მართვის დრო, მართვის მანძილი და მაქსიმალური სიჩქარე.

5.6.7. **Valet გაფრთხილება:** ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, Kia Connect აპში შეტყობინებები მიიღოთ, თუ თქვენი ავტომობილი მანძილის არჩეულ ლიმიტს, სიჩქარის ლიმიტსა და უქმი დროის ლიმიტს გადააჭარბებს, რომლებიც Kia Connect აპში წინასწარ განსაზღვრეთ. მგზავრობის დაშვებული მანძილი არის ავტომობილის მიერ გავლილი მანძილი იმ მდებარეობიდან, რომელშიც სერვისი გააქტიურდა.

5.6.8. **Geofence გაფრთხილება:** ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, შეტყობინებები Kia Connect აპში მიიღოთ, თუ თქვენი მანქანა დაშვებული ზონიდან გადის, ან აკრძალულ ზონაში შედის. დაშვებული და აკრძალული ზონების საზღვრების დაყენება Kia Connect აპში შეგიძლიათ.

5.6.9. **გაფრთხილება სიჩქარის გადაჭარბების შესახებ:** მთავარ მოწყობილობაში გააქტიურებისას, ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, შეტყობინებები Kia Connect აპში მიიღოთ, თუ თქვენი მანქანა სიჩქარის იმ ლიმიტს გადააჭარბებს, რომელიც Kia Connect აპში წინასწარ გაქვთ დაყენებული.

5.6.10. **გაფრთხილება დროის ინტერვალის შესახებ:** ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, შეტყობინებები Kia Connect აპში მიიღოთ, თუ თქვენი მანქანა დროის იმ ინტერვალების მიღმა იმართება, რომლებიც Kia Connect აპში წინასწარ განსაზღვრეთ.

5.6.11. **გაფრთხილება უქმობის შესახებ:** ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, შეტყობინებები Kia Connect აპში მიიღოთ, თუ თქვენი მანქანა უქმობის დროის იმ ინტერვალის მიღმა იმართება, რომელიც Kia Connect აპში წინასწარ განსაზღვრეთ.

<u>ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება:</u>
ავტომობილის მონაცემები, მდებარეობისა და მოძრაობის მონაცემები, მგზავრობის/მართვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, გამოყენებაზე დაფუძნებული მონაცემები, ტექნიკური მონაცემები.
<u>სამართლებრივი საფუძველი:</u> ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად (მუხლი 6 (1) ბ) GDPR), დამუშავება აუცილებელია.
მესამე მხარეებთან, მაღალი ძაბვის აკუმულატორის მონიტორინგის გამაფრთხილებელი სისტემისთვის შესაბამისი ინფორმაციის გაზიარება, როგორც ეს

5.5.5 ნაწილშია აღნიშნული, ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების მიზნებისათვის ისევე აუცილებელია, როგორც ჩვენი მომხმარებლებისა და სხვა მესამე მხარეებისთვის (მუხ. 6 (1) ვ) GDPR). ლეგიტიმური ინტერესებია: ჩვენი სერვისების სათანადო მიწოდებისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ჩვენი და Kia ჯგუფის მომხმარებლებისთვის უსაფრთხო სერვისებისა და პროდუქტების მიწოდება, ჩვენი მომხმარებლების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, ჩვენი მომხმარებლების საკუთრების დაცვა და მანქანაში ან მის სიახლოვეს სხვა ადამიანების ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ქონების დაცვა.

5.7. ციფრული გასაღები

ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, თქვენი სმარტფონი ისეთი სერვისების განსახორციელებლად გამოიყენოთ, როგორიცაა თქვენი მანქანის ჩაკეტვა და გახსნა, მანქანის კლიმატ კონტროლის გააქტიურება, ან მანქანის დაქოქვა (მხოლოდ მანქანის შიგნიდან), რასაც სმარტფონის ჩაშენებული ფუნქციების დახმარებით ასრულებს, რომლებიც ულტრა ფართო ზოლის დიაპაზონში („**UWB**“) და ახლო ველის კავშირით („**NFC**“) მუშაობს. ის საშუალებას გაძლევთ, თქვენი ციფრული გასაღები იმ სამ დამატებით მოწყობილობასთან გააზიაროთ და მართოთ, რომლებიც ოჯახის წევრებს და მეგობრებს ეკუთვნის. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ამ სერვისით სარგებლობისას, მონაცემთა გაცვლა მობილურ სმარტ მოწყობილობასა და მანქანას შორის UWB, ან NFC ფუნქციების გამოყენებით ხდება. ეს მონაცემები ჩვენ არ გადმოგვეცემა.

<u>ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება</u>: პერსონალური დეტალები, საკონტაქტო დეტალები, ინფორმაცია მომხმარებლის პროფილის შესახებ, ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები, გამოყენებაზე დაფუძნებული მონაცემები, ტექნიკური მონაცემები და ინფორმაცია ციფრული გასაღების შესახებ.

<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად (მუხლი 6(1) ბ) GDPR), დამუშავება აუცილებელია.

5.8. პროდუქციის და სერვისის გაუმჯობესება

ღილაკ „პროდუქტის/სერვისის გაუმჯობესების“ გააქტიურებით, ავტომობილის წარმადობის, გამოყენების, ექსპლუატაციისა და მდგომარეობის შესახებ მონაცემები, პროდუქტისა და მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ჩვენ მიერ, თქვენი თანხმობის საფუძველზე დამუშავდება. თქვენი თანხმობა ნებაყოფლობითია და შესაბამისი ღილაკის გამორთვით, შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს. მის გაუქმებამდე, ამგვარი თანხმობის საფუძველზე შესრულებული დამუშავების კანონიერებაზე, თქვენი თანხმობის გაუქმება გავლენას არ მოახდენს. ფუნქცია„პროდუქტის/სერვისის გაუმჯობესების“ გასააქტიურებლად, ტექნიკური მიზეზების გამო, ასევე გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის („GIS“) გააქტიურებაა აუცილებელი.

<u>ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება:</u> თანხმობის ჩანაწერები, მანქანის მონაცემები, მდებარეობისა და მოძრაობის მონაცემები და გამოყენებაზე დაფუძნებული მონაცემები.

<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: დამუშავება თქვენს წინასწარ თანხმობას (მუხლი 6(1) ა) GDPR) ეფუძნება. თქვენი თანხმობა ნებაყოფლობითია და მისი გაუქმება ნებისმიერ დროს (მაგ. Kia Connect აპის თანხმობის სიაში შესაბამისი თანხმობის ღილაკის გამორთვით) არის შესაძლებელი. თანხმობის გაუქმება ამგვარი თანხმობის საფუძველზე (რომელიც გაუქმებამდე გაიცა), დამუშავების კანონიერებაზე გავლენას არ მოახდენს.

5.9. სასურველი დილერის შესახებ ინფორმაცია

ეს სერვისი, ვებგვერდ MyKia-ზე თქვენს ანგარიშსა და აპლიკაცია Kia Connect-ზე თქვენს ანგარიშს შორის, „სასურველ დილერზე“ ინფორმაციის სინქრონიზაციის საშუალებას იძლევა. სინქრონიზაცია სავალდებულო არაა და გამოყენებამდე უნდა ჩაირთოს. თუ „სასურველ დილერზე“ ინფორმაციის სინქრონიზაციაზე უარს იტყვით, აპლიკაცია Kia Connect-ზე ფუნქცია „სასურველი დილერი“ კვლავაც ხელმისაწვდომი იქნება, მაგრამ გამოსახული ინფორმაცია, შეიძლება იმ ინფორმაციისგან განსახვავებული იყოს, რაც MyKia-ზე თქვენს ანგარიშზეა.
ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება: საკონტაქტო მონაცემები, ავტომობილის მონაცემები, ტექნიკური მონაცემები და ინფორმაცია დილერის შესახებ.
სამართლებრივი საფუძველი: ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად (მუხლი 6(1) ბ) GDPR), დამუშავება აუცილებელია.

5.10. ავტომობილის გაზიარება

Kia Connect აპში „მანქანის გაზიარების მოთხოვნა“ ფუნქციის მეშვეობით, დისტანციური სერვისების სხვა მომხმარებლებთან გაზიარება შეგიძლიათ. როდესაც ამას გააკეთებთ, გაზიარებაზე თქვენი მოთხოვნის დასაწყებად და დასამუშავებლად, ავტომობილისა და მომხმარებლის ანგარიშთან დაკავშირებულ გარკვეულ მონაცემებს დავამუშავებთ. გაზიარების მოთხოვნის ინფორმაცია, როგორიცაა თქვენი სახელი და PIN, Kia Connect აპზე, სხვა მომხმარებლის ანგარიშზე გადაიცემა და დამუშავდება. სხვა მომხმარებელს შეუძლია, Kia Connect აპი დაკავშირებული მანქანისთვის ისევე გამოიყენოს, როგორც თქვენ. მას ასევე „იპოვე ჩემი მანქანა“ ფუნქციის გამოყენება შეუძლია.
ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება: პერსონალური დეტალები, საკონტაქტო დეტალები, მანქანის მონაცემები და დადასტურების მონაცემები.
სამართლებრივი საფუძველი: ჩვენთან დადებული კონტრაქტის შესასრულებლად (მუხლი 6 (1) ბ) GDPR) და ჩვენი სერვისების მიწოდების ჩვენს ლეგიტიმურ ინტერესებთან დაკავშირებით (მუხლი 6 (1) ვ.) GDPR), დამუშავება აუცილებელია. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ როდესაც ამ სერვისს იყენებთ, სხვა მომხმარებლებს თქვენი შესვლის დეტალების გამოკლებით, თქვენს ყველა პერსონალურ მონაცემს უზიარებთ, რომლებიც თქვენს Kia Connect App ანგარიშზე ინახება. ამ ფუნქციის გამორთვა ნებისმიერ დროს შეგიძლიათ. დეაქტივაცია მონაცემთა გაზიარებას აჩერებს და ჩვენ Kia Connect აპზე სხვა მომხმარებლის ანგარიშისთვის გაზიარებულ ყველა მონაცემს წავშლით.

5.11. **მთავარი მენიუს რუკა და საძიებო ზოლი**

მთავარი მენიუს რუკა თქვენს ამჟამინდელ მდებარეობას აჩვენებს. მთავარი მენიუს საძიებო ზოლი შეიძლება ინტერესის წერტილების (POI) მოსაძებნად იყოს გამოყენებული.
ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება: მდებარეობისა და მოძრაობის მონაცემები, გამოყენებაზე დაფუძნებული მონაცემები და ტექნიკური მონაცემები.
სამართლებრივი საფუძველი: ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად (მუხლი 6(1) ბ) GDPR), დამუშავება აუცილებელია.

5.12. **Touch ID-ს და Face ID-ს (iOS), ან თითის ანაბეჭდის და სახის ამოცნობის გამოყენება (Android)**

Kia Connect აპისგარკვეული ფუნქციების განბლოკვისთვის, შეგიძლიათ გამოიყენოთ Touch ID, ან Face ID(iOS), ან თითის ანაბეჭდის და სახის ამოცნობა (Android). თქვენი ბიომეტრიული მონაცემები მხოლოდ ადგილობრივად, თქვენს სმარტფონზე ინახება

და ჩვენ არ გადმოგვეცემა. ამიტომ, ჩვენ ამ მონაცემებზე წვდომა არ შეგვიძლია. მხოლოდ ინფორმაცია იმის შესახებ, წარმატებული იყო თუ არა ბიომეტრიული მონაცემების გადამოწმება, Kia Connect აპს თქვენი სმარტფონის სისტემური ფუნქციის მეშვეობით გადაეცემა. თქვენ შეგიძლიათ, თქვენი სმარტფონის შესაბამის პარამეტრებში, Touch ID-ის, ან Face ID-ის (iOS), ან თითის ანაბეჭდის და სახის ამოცნობის (Android) გამოყენება ნებისმიერ დროს გამორთოთ.
ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება: დადასტურების მონაცემები.
სამართლებრივი საფუძველი: ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად (მუხლი 6(1) ბ) GDPR), დამუშავება აუცილებელია.

5.13. Firebase Crashlytics
Kia Connect აპისა და სერვისების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გასაუმჯობესებლად, ჩვენ ავარიების ანონიმური ანგარიშების ანალიზს ვიყენებთ. ამ მიზნით, ჩვენ „Firebase Crashlytics“, Google Ireland Ltd.-ის, Google Building Gordon House, Barrow Street, Dublin 4, Ireland სერვისს ვიყენებთ.
იმისათვის, რომ KiaConnect აპის მწყობრიდან გამოსვლის, ან გაუმართაობის შემთხვევაში, ავარიის ანონიმური ანგარიშები მოგვაწოდოთ, „Firebase Crashlytics“ ქვემოთ მითითებულ ინფორმაციას აგროვებს და ასეთი ინფორმაცია შეიძლება Google-ის სერვერებზე, აშშ-ში გადასცეს. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ავარიის შესახებ მოხსენებები, რომლებიც ჩვენ გადმოგვეცემა, არ შეიცავს ინფორმაციას, რომლის მეშვეობითაც, ჩვენ მომხმარებლის ვინაობის დადგენას შევძლებთ.
„FirebaseCrashlytics“-ის მიერ შეგროვებული და შენახული ნებისმიერი ინფორმაცია, შეგროვებიდან 90 დღის განმავლობაში წაიშლება.
დამატებითი ინფორმაციისთვის „Firebase Crashlytics“-ის შესახებ და იმაზე, თუ Google თქვენს პერსონალურ მონაცემებს როგორ ამუშავებს, გთხოვთ, შემდეგ ბმულებს ეწვიოთ:
https://firebase.google.com/
https://firebase.google.com/terms/crashlytics/
https://firebase.google.com/support/privacy
ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება: ტექნიკური მონაცემები.
სამართლებრივი საფუძველი: ჩვენს მიერ განხორციელებული კანონიერი ინტერესების მიზნებისათვის (მუხლი 6 (1) ვ) GDPR), დამუშავება აუცილებელია. ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებია: Kia Connect აპისა და ჩვენი სერვისების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა და ოპტიმიზაცია.

6. მთავარი მოწყობილობა და მანქანის სერვისები

6.1. შეტყობინებები

6.1.1. შეტყობინებების ცენტრი
ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება: ავტომობილის მონაცემები, ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები, გამოყენებაზე დაფუძნებული მონაცემები.
შეტყობინებების ცენტრი საშუალებას გაძლევთ, შეტყობინებები Kia-სგან მთავარი მოწყობილობის ეკრანზე მიიღოთ. ასეთი შეტყობინებები, მათ შორის, თქვენს მანქანასთან დაკავშირებით, გაწვევის კამპანიის შეტყობინებებს, სერვისის შეხსენებებს და სერვისის მოქმედების შეტყობინებებს მოიცავს.
სამართლებრივი საფუძველი: ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად (მუხ. 6 (1) ბ) GDPR), დამუშავება აუცილებელია.

6.1.2. მანქანასთან დაკავშირებული შეტყობინებები

6.1.2.1. **გაწვევის კამპანიის შეტყობინებები:** გაწვევის კამპანი(ებ)ის შესახებ შეტყობინებებს, თქვენს მანქანაში შეტყობინებების ზემოთ ნახსენები ცენტრის გამოყენებით გამოგიგზავნით. გაწვევის კამპანიის გახსენების შეტყობინებები შეიძლება ასევე სხვა საშუალებებით (მაგ. Kia Connect აპის ფარგლებში ელფოსტით თქვენს რეგისტრირებულ ელფოსტის მისამართზე ან ფიზიკური წერილით) გამოგიგზავნოთ.

6.1.2.2. **სერვისის შეხსენებები:** Kia-ს მანქანის რეგულარული ტექნიკური მომსახურების თარიღების შესახებ შეხსენებებს, შეტყობინებების ზემოაღნიშნული ცენტრის გამოყენებით გამოგიგზავნით.

6.1.2.3. **სერვისის ქმედებების შეტყობინებები:** ჩვენ შეიძლება სერვისის შეუსრულებელი რეკომენდირებული ქმედებების შესახებაც გაცნობოთ (როგორიცაა პროგრამული უზრუნველყოფის განახლებები, ნაწილების გაუმჯობესებული ნაწილებით შეცვლა, ან Kia-ს ავტომობილის გარკვეული კომპონენტების ხარისხის შემოწმება). ინფორმაცია სერვისის რეკომენდირებული ქმედებების შესახებ, შეიძლება შეტყობინებების ზემოთ ნახსენები ცენტრის და/ან Kia Connect აპის მეშვეობით, ან ელფოსტით, თქვენს რეგისტრირებულ ელფოსტის მისამართზე მოგეწოდოთ.

6.1.2.4. **ავტომობილის სავალდებულო ინსპექტირების შეხსენებები (როგორიცაა TÜV გერმანიაში, ან MOT დიდ ბრიტანეთში):** ჩვენ ავტომობილის მოახლოებული სავალდებულო ინსპექტირების შესახებ შეგატყობინებთ. მაგალითად, ასეთია დიდ ბრიტანეთში „ტრანსპორტის სამინისტროს“ ტესტების შესახებ შეხსენებები (საყოველთაოდ ცნობილი, როგორც „MOT“) მანქანებთან დაკავშირებით. „MOT“-ის გარდა, დიდ ბრიტანეთში ამ სერვისით სარგებლობისთვის აუცილებელია, რომ Kia-ს მანქანის ბოლო სავალდებულო შემოწმების ზუსტი თარიღი და ავტომობილის პირველი რეგისტრაციის თარიღი მიაწოდოთ. გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული ავტომობილებისთვის, გაერთიანებული სამეფოს მთავრობის ტრანსპორტის დეპარტამენტის („DfT“) მიერ უფლებამოსილები ვართ, ავტომობილის MOT-ის ისტორიის გარკვეულ მონაცემებზე (კერძოდ, MOT-ის ვადები და ავტომობილის სარეგისტრაციო ნომრები) წვდომა DfT-ის MOT-ის ისტორიის API-ს მეშვეობით მივიღოთ. ვინაიდან, ჩვეულებრივ, ავტომობილის სარეგისტრაციო ნომრებს არ ვამუშავებთ, ჩვენ ვიმუშავებთ Kia UK Limited-თან, რათა ავტომობილის სარეგისტრაციო ნომერი VIN-ის შესაბამისი იყოს, რათა ეს სერვისი მოგაწოდოთ.

<u>ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება:</u> თანხმობის ჩანაწერები, ინფორმაცია ავტომობილის სტატუსის შესახებ, ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები და გამოყენებაზე დაფუძნებული მონაცემები.
<u>სამართლებრივი საფუძველი:</u> ჩვენთან დადებული ხელშეკრულების (მუხ. 6 (1) ბ) GDPR) შესასრულებლად, დამუშავება აუცილებელია. სერვისის ქმედებების შეტყობინებებისთვის (მუხ. 6.1.2.3.) მონაცემების დამუშავება თქვენს წინასწარ თანხმობას ეფუძნება (მუხ. 6 (1) ა) GDPR). თქვენი თანხმობა ნებაყოფლობითია და მისი გაუქმება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ. თქვენი თანხმობის გაუქმება ამგვარი თანხმობის (რომელიც გაუქმებამდე გაიცა) საფუძველზე დამუშავების კანონიერებაზე გავლენას არ მოახდენს.

6.2. **Kia Connect-ის რეალური დროის სერვისები**

Kia Connect რეალური დროის სერვისები შემდეგს მოიცავს:

- **რეალურ დროში ტრაფიკი და ონლაინ ნავიგაცია**: ეს სერვისი მარშრუტების გამოსათვლელად და მოძრაობის სიტუაციის საჩვენებლად, რეალურ დროში ტრაფიკის ინფორმაციას იძლევა. ონლაინ ნავიგაცია, რეალურ დროში და

ტრაფიკის ისტორიული მონაცემების კომბინაციის საფუძველზე, დანიშნულების სასურველ ადგილამდე ნავიგაციის საშუალებას გაძლევთ.

- **რეალურ დროში ინტერესის წერტილები (POI) და ონლაინ POI ძებნა**: ეს სერვისი, ავტომობილის ამჟამინდელი პოზიციიდან გამომდინარე, ინტერესის ახლომდებარე პუნქტებზე ინფორმაციას გვაწვდის. გარდა ამისა, ეს სერვისი ასევე საშუალებას გაძლევთ, ახლომდებარე POI-ებიკატეგორიების მიხედვით, აქტიურად მოძებნოთ. შესაბამის მანქანებზე, ამ სერვისს ჩვენი პარტნიორი 4.screen GmbH-ისმიერ მოწოდებული მონაცემები დაემატება. დამატებითი დეტალებისთვის სექცია 13.6 იხილეთ.
- **ამინდი**: ეს სერვისი, თქვენი ამჟამინდელი მდებარეობის მიხედვით, ადგილობრივი ამინდის შესახებ, ინფორმაციას გთავაზობთ.
- **პარკინგი**: ეს სერვისი, ქუჩაზე და მის ფარგლებს გარეთ, პარკირების შესახებ მიმდინარე ინფორმაციას პოზიციის, ახლომდებარე დანიშნულების ადგილის, ახლომდებარე გადახვევის ნიშნის, ან ახლომდებარე ქალაქის ცენტრზე დაყრდნობით გთავაზობთ.
- **დილერის POI**: ეს სერვისი, Kia-ს მიმდებარე დილერების ადგილმდებარეობის ინფორმაციას, მანქანის ამჟამინდელი პოზიციიდან გამომდინარე გვაწვდის.
- **სიჩქარის კამერის / საფრთხის ზონის გაფრთხილებები (თუ გამოყენების ქვეყანაში კანონიერად დასაშვებია)**: ეს სერვისი გაფრთხილებებს იმ ადგილებში გაწვდით, სადაც ავარიები განსაკუთრებით ხშირია და ავარიის შავი ლაქების, ან სიჩქარის კამერების შესახებ გაფრთხილებთ.
- **სპორტული ლიგა**: ეს სერვისი არჩეული სპორტისა და ლიგების წარსული და მომავალი მოვლენების შესახებ ინფორმაციას გვაწვდის.

<u>ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება</u>: საკონტაქტო მონაცემები, მანქანის მონაცემები, ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები, მდებარეობისა და მოძრაობის მონაცემები, გამოყენებაზე დაფუძნებული მონაცემები, ტექნიკური მონაცემები, საგზაო მოძრაობის შესახებ დინამიკური ინფორმაცია, ინფორმაცია ამინდისა და დილერის შესახებ.
<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად (მუხლი 6(1) ბ) GDPR), დამუშავება აუცილებელია.
Kia Connect Live სერვისების გაუმჯობესების მიზნით, ჩვენ ასევე ზემოთ მითითებულ მონაცემებს დავამუშავებთ.
ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების მიზნებისათვის (მუხლი 6 (1) ვ) GDPR), დამუშავება აუცილებელია. ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებია: Kia Connect Live სერვისების გაუმჯობესება.

6.3. მდებარეობაზე დაფუძნებული სერვისები მანქანაში

მდებარეობაზე დაფუძნებული სერვისები მანქანაში შემდეგს მოიცავს:

6.3.1. EV მარშრუტის დამგეგმავი (მხოლოდ ელექტრომობილებისთვის და დასამუხტი ჰიბრიდული ელექტრომობილებისთვის): მანქანის ჩაშენებულ სანავიგაციო სისტემაში ნავიგაციის დანიშნულების ადგილის დაყენებისას, ეს სერვისი აფასებს, დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად დასამუხტად გაჩერება საჭირო იქნება თუ არა. თუ მანქანის მუხტის დონის, მიმდინარე მდებარეობისა და ენერგომოხმარების სავარაუდო მაჩვენებლის მიხედვით, დასამუხტად გაჩერება საჭირო იქნება, სერვისი შუალედური გაჩერებების სახით შემოთავაზებულ მარშრუტზე დამუხტვის ერთ ან მეტ

წერტილს ავტომატურად დაამატებს. სერვისი დამუხტვის შემოთავაზებული გაჩერებების ადაპტირებას ავტომატურად განახორციელებს, თუ მძღოლი დასამუხტად ადრე გაჩერებას ან შემოთავაზებული გაჩერების გამოტოვებას გადაწყვეტს ან თუ მართვის პირობები ენერგიის მოსალოდნელზე დიდ ხარჯს გამოიწვევს.

6.3.2. **EV POI (მხოლოდ ელექტრომობილებისთვის და დასამუხტი ჰიბრიდული ელექტრომობილებისთვის):** ეს სერვისი ახლომდებარე დასამუხტი სადგურების შესახებ ინფორმაციას გაწვდით, მათ შორის, ხელმისაწვდომობის სტატუსზე არსებული მდებარეობის შესაბამისად.

6.3.3. **უპირატესი მარშრუტი:** ეს სერვისი თქვენი მანქანის სანავიგაციო სისტემაში მარშრუტების ტიპებს ადარებს და მძღოლის გააქტიურებული პროფილიდან, უპირატესი ფაქტობრივი მარშრუტების გამოყენებით, ალტერნატიულ მარშრუტებს გთავაზობთ.

6.3.4. **Google Places ძიების გაუმჯობესება:** ეს სერვისი Google-ის გაუმჯობესებული საძიებო ფუნქციით სარგებლობis საშუალებას გაძლევთ. ამ მიზნით, მდებარეობის ინფორმაციას Google-თან ვაზიარებთ, ეს უკანასკნელი კი შესაბამის ინფორმაციას Google Place API-ის მეშვეობით გვაწვდის. გაითვალისწინეთ, რომ Google ჩვენგან სხვა ინფორმაციას არ იღებს.

6.3.5. **გადაუდებელი დახმარების მანქანის მოახლოვება:** ეს სერვისი მთავარ მოწყობილობაში შეგატყობინებთ, როდესაც გადაუდებელი დახმარების მანქანა, მაგალითად, სასწრაფო დახმარების მანქანა გიახლოვდებათ.

ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება: საკონტაქტო მონაცემები, მანქანის მონაცემები, ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები, მდებარეობისა და მოძრაობის მონაცემები, გამოყენებაზე დაფუძნებული მონაცემები, ტექნიკური მონაცემები და საგზაო მოძრაობის შესახებ დინამიკური ინფორმაცია.
<u>სამართლებრივი საფუძველი:</u> ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად (მუხ. 6 (1) ბ) GDPR), დამუშავება აუცილებელია. ზემოთ მითითებულ მონაცემებს, ავტომობილში მდებარეობაზე დაფუძნებული სერვისების გასაუმჯობესებლადაც დავამუშავებთ. დამუშავება ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების მიზნებისათვის (მუხ. 6 (1) ვ) GDPR) არის აუცილებელი. ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებია: ავტომობილის მდებარეობაზე დაფუძნებული სერვისების გაუმჯობესება.

6.4. **ონლაინ ხმის ამოცნობა**
ეს სერვისი დაკავშირებული მობილური მოწყობილობის საშუალებით, თქვენი მანქანის გარკვეულ ფუნქციებზე წვდომის, კონტროლისა და ტექსტური შეტყობინებების შედგენისა და გაგზავნისთვის ხმოვანი ბრძანებების გამოყენების საშუალებას გაძლევთ. ხმის ონლაინ ამოცნობა ონლაინ (ღრუბლოვან) გარემოში მოქმედებს. ეს სერვისი თქვენი პერსონალური მონაცემების (მაგ. ხმის ნიმუშების) ჩვენი სერვისის პროვაიდერ Cerence B.V.-სა და მისი ქვედამმუშავებლებისთვის გადაცემას მოითხოვს, რომლებიც შეიძლება ევროკავშირის/EEA-ს მიღმა ქვეყნებში მდებარეობდეს და მონაცემთა დაცვის ადეკვატურ დონეს არ უზრუნველყოფდეს (დამატებითი დეტალებისთვის იხ. 15 და16 ნაწილები). შეგიძლიათ, თქვენი პერსონალური მონაცემების Cerence B.V.-სა და მისი ქვედამმუშავებლებისთვის გადაცემა მთავარი ბლოკის შესაბამის პარამეტრებში ხმის ამოცნობის ონლაინ სერვისის გამორთვით აღკვეთოთ. თუ ხმის ონლაინ ამოცნობის სერვისს გამორთავთ, თქვენი მანქანის ხმის ამოცნობის ფუნქცია შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირთოს. Cerence B.V. ხმის ნიმუშებს ტექსტის ნიმუშებად გარდაქმნის, მათ სემანტიკურად ახსნის (საჭიროების შემთხვევაში) და შემდეგ, შედეგს მანქანაში გზავნის.

ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება: ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები, მდებარეობისა და მოძრაობის მონაცემები, გამოყენებაზე დაფუძნებული მონაცემები და ჩანაწერების მონაცემები. როგორც ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორი, უნიკალური ID შეიქმნება Cerence B.V.-ის სერვერზე დასარეგისტრირებლად. მომხმარებლის ID და მანქანის საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN) ან ნებისმიერი სხვა იდენტიფიკატორი ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის. ეს ნიშნავს, რომ Cerence B.V.-ს მისთვის გადაცემული მონაცემებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირება არ შეუძლია.
სამართლებრივი საფუძველი: ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად (მუხლი 6(1) ბ) GDPR), დამუშავება აუცილებელია.
ხმის ამოცნობის ონლაინ სერვისის ეფექტურობისა და გაუმჯობესების მიზნით, ჩვენ მდებარეობის და მოძრაობის მონაცემებს, ჩანაწერების მონაცემებსა და გამოყენებაზე დაფუძნებულ მონაცემებსაც დავამუშავებთ.
დამუშავება ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების მიზნებისათვის (მუხლი 6 (1) ვ) GDPR) არის აუცილებელი. ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებია: ხმის ამოცნობის ონლაინ სერვისის გაუმჯობესება.

6.5. Kia AI ასისტენტი

თუ ხმის ამოცნობის ზემონახსენები ონლაინ სერვისი გააქტიურეთ, შეგიძლიათ, Kia AI ასისტენტი გამოიყენოთ, რომელიც AI-ის საფუძველზე მომუშავე ჩეთბოტია, ის ხმის ამოცნობის ონლაინ სერვისს ეფუძნება და თქვენი მგზავრობის შესახებ ზოგად საკითხებში, მანქანის მართვასა და ინფორმაციისა და ადგილების მოძიებაში დასახმარებლად არის შექმნილი. Kia AI ასისტენტი ხმის ამოცნობის ღილაკზე დაჭერით, ან „Hey, Kia!“-ს თქმით აქტიურდება და ორივეს თქვენი ბრძანება უნდა მოჰყვეს. ამ სერვისის მიწოდების მიზნით, ჩვენ ჩავრთეთ სერვისის პროვაიდერები Cerence B.V. ხმის ამოცნობის ონლაინ სერვისისთვის (იხ. ნაწილი 6.4) და OpenAI Ireland Limited („OpenAI“). თუმცა გაითვალისწინეთ, რომ პერსონალური მონაცემები OpenAI-სთან არ გაზიარდება.
ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება: ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები, გამოყენებაზე დაფუძნებული მონაცემები და ჩანაწერების მონაცემები.
სამართლებრივი საფუძველი: ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად (მუხლი 6(1) ბ) GDPR), დამუშავება აუცილებელია.

6.6. გასართობი პაკეტი

სანამ ის ხელმისაწვდომი ავტომობილში გახდება, პაკეტი Kia Connect Store-ის მეშვეობით უნდა გააქტიურდეს.

6.6.1. ინტერნეტი მანქანაში: როდესაც Kia Connect Store-ში შესაბამის გასართობ პაკეტს გააქტიურებთ, თქვენ Vodafone-ის ჯგუფის წევრის, ან Vodafone-ის პარტნიორის რეგისტრაციის გვერდზე გადამისამართდებით, რომელიც თქვენს ქვეყანაში („**Vodafone**“) სატელეკომუნიკაციო მომსახურებას უზრუნველყოფს, რათა მათs ინტერნეტ სერვისზე დარეგისტრირდეთ და ინტერნეტი მანქანაში („**IITC**“) მოგეწოდოთ, რომლის გარეშეც გასართობი პაკეტის მომსახურებით ვერ ისარგებლებთ.
Vodafone-ში თქვენი რეგისტრაციისა და IITC-ის მიღების მიზნით, თქვენ შესახებ გარკვეულ პერსონალურ მონაცემებს Vodafone-ის ჯგუფს (კერძოდ, Vodafone Global Enterprise Ltd-სა („**VGEL**“) და Vodafone GmbH-ს („**Vodafone Germany**“)) ვუზიარებთ.
გასართობი პაკეტის, მოქმედი ხარჯებისა და საკომისიოს მართვასთან დაკავშირებით, VGEL და Vodafone Germany მოგაწვდიან თქვენი ანგარიშის ID-ს, ინფორმაციას

შესაბამისი SIM ბარათის შესახებ და სხვა ინფორმაციას თქვენი შეკვეთისა და მონაცემთა გამოყენების შესახებ.
გაითვალისწინეთ, რომ Vodafone-ის ჯგუფის შესაბამისი წევრები და პარტნიორები თქვენს პერსონალურ მონაცემებს დაამუშავებენ, როგორც ცალკეული და დამოუკიდებელი მაკონტროლებლები. თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, მათ კონფიდენციალურობის შეტყობინებებს გაეცანით.
<u>ამ მიზნით, პერსონალური მონაცემების შემდეგი კატეგორიები მუშავდება:</u>
პერსონალური დეტალები, საკონტაქტო დეტალები, საკონტრაქტო დეტალები, ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები, ტექნიკური მონაცემები და შეძენის დეტალები.
<u>სამართლებრივი საფუძველი:</u> დამუშავება ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად (მუხ. 6 (1) ბ) GDPR) არის აუცილებელი.
თქვენი SIM ბარათისა (კერძოდ, IMSI-ს) და მასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების მიზნებისთვის (მუხ. 6 (1) ვ) GDPR) არის აუცილებელი. ლეგიტიმური ინტერესებია: ჩვენი მომხმარებლების მიერ შეძენილ გასართობ პაკეტებთან დაკავშირებით Kia ჯგუფში ხარჯების ეფექტური განაწილების უზრუნველყოფა.
არჩეული გასართობი პაკეტიდან (Entertainment Standard, Entertainment Plus ან Entertainment Plus Wi-Fi) გამომდინარე, ქვემოთ ჩამოთვლილი სერვისები ჩვენი სხვადასხვა პარტნიორების მეშვეობით, უშუალოდ მანქანაში იქნება ხელმისაწვდომი. webOS-თან და სტრიმინგის სერვისებთან დაკავშირებით გაითვალისწინეთ, რომ ამ სერვისებთან თავსებადი კონტენტის პროვაიდერები შეიძლება თქვენი მდებარეობიდან და მთავარი მოწყობილობის პროგრამული ვერსიიდან გამომდინარე განსხვავდებოდეს.

6.6.2. **Wi-Fi Hotspot:** Wi-Fi Hotspot თქვენ და თქვენს სტუმრებს საშუალებას გაძლევთ, შეხვიდეთ ინტერნეტში და შესაბამისი საბოლოო მოწყობილობების საშუალებით (5-მდე მოწყობილობა), მოწოდებული კონტენტი გამოიყენოთ.

6.6.3. **მუსიკის სტრიმინგი:** ეს სერვისი საშუალებას გაძლევთ, მანქანის საინფორმაციო გასართობი სისტემის მეშვეობით და ინტეგრირებული ეკრანისა და დინამიკების გამოყენებით, საყვარელი მუსიკით და აუდიო (პოდკასტი, აუდიო წიგნები) სტრიმინგის სერვისებით ისიამოვნოთ. გაითვალისწინეთ, რომ ამ სერვისში სტრიმინგის შესაბამისი სერვისის გამოწერა არ შედის. თქვენ სტრიმინგის საყვარელი სერვისის პროვაიდერთან ცალკე უნდა შექმნათ ანგარიში და დააყენოთ გამოწერა. ამ სერვისის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია Kia Connect-ის გამოყენების პირობების 4.2.2.6 ნაწილში.

6.6.4. **ვიდეო სტრიმინგი:** ვიდეო სტრიმინგი საშუალებას გაძლევთ, ვიდეოებს უშუალოდ მანქანის ინტეგრირებულ ეკრანზე უყუროთ, სანამ მანქანა გაჩერებულია და პარკინგის რეჟიმშია (P). თქვენ წვდომა კონტენტის ხელმისაწვდომ პროვაიდერებზე გაქვთ, რაც იმ გასართობ პაკეტზეა დამოკიდებული, რომელიც Kia Connect Store-ში შეიძინეთ. გაითვალისწინეთ, რომ ამ სერვისში შესაბამისი სტრიმინგის სერვისის გამოწერა არ შედის. საჭიროების შემთხვევაში თქვენ სტრიმინგის საყვარელი სერვისის პროვაიდერთან ცალკე უნდა შექმნათ ანგარიში და დააყენოთ გამოწერა.

6.6.5. **წვდომა კონტენტზე მოწოდებული აპების საშუალებით (webOS):** თუ Entertainment Plus ან Entertainment Plus Wi-Fi პაკეტი აირჩიეთ და შეიძინეთ, თქვენ წვდომა იმ კონტენტზე გექნებათ, რომელიც LG webOS გადაწყვეტილებითაა (გართობის ფილა მანქანაში) მოწოდებული. ხელმისაწვდომია შემდეგი კონტენტი:

YouTube, Disney +, Netflix, LG Channels, Stingray Karaoke, Playworks, Baby Shark, El Dorado, Gold Tower Defence, TikTok. ამ სერვისთან თავსებადი კონტენტის პროვაიდერები შეიძლება თქვენი მდებარეობიდან და მთავარი მოწყობილობის პროგრამული ვერსიიდან გამომდინარე განსხვავდებოდეს.

<u>ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება:</u> ავტომობილის მონაცემები, დადასტურების მონაცემები, ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები და გამოყენებაზე დაფუძნებული მონაცემები.
<u>სამართლებრივი საფუძველი:</u> დამუშავება ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად (მუხ. 6 (1) ბ) GDPR) არის აუცილებელი.

6.7. საგადახდო სერვისები მანქანაში („ICP“)

Kia Pay-ში რეგისტრირებისა და Kia Connect აპში გააქტიურების გათვალისწინებით, ICP საშუალებას გაძლევთ, გარკვეული გადახდები უშუალოდ თქვენი მანქანიდან განახორციელოთ. ამ სერვისთან დაკავშირებით, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დეტალები კონფიდენციალურობის შესახებ დამოუკიდებელ შეტყობინებაშია მოცემული, რომელიც ხელმისაწვდომია აქ: https://connect.kia.com/eu/downloads-in-car-payment/

7. კიბერ უსაფრთხოების სტანდარტები

როდესაც მთავარ მოწყობილობაში ააქტიურებთ სერვისებს და თქვენი მანქანის ტექნიკური აღჭურვილობიდან გამომდინარე, ჩვენ თქვენი მანქანის უსაფრთხოების მოვლენებთან დაკავშირებულ მონაცემებს, Kia-ს მანქანების და პროდუქტების კიბერ უსაფრთხოების შესაბამისი სტანდარტების მართვისა და მონიტორინგის მიზნით ვაგროვებთ და ვამუშავებთ. თუმცა, ასეთი მონაცემები ჯერ თქვენს მანქანაში შეინახება. მხოლოდ ანომალური სიგნალის გამოვლენის შემთხვევაში, მონაცემები ჩვენს სისტემებს, შემდგომი ანალიზისთვის გადაეგზავნება. მანქანიდან ასეთი მონაცემების უწყვეტი გადაცემა არ ხდება და თქვენი მანქანა პერიოდულად, უსაფრთხოების ბოლო 100 გენერირებულ მოვლენას ინახავს. უსაფრთხოების ახალი მოვლენის შემთხვევაში, უსაფრთხოების ყველაზე ძველი მოვლენა და მასთან დაკავშირებული მონაცემები წაიშლება.
ჩვენ შესაბამის მონაცემებს Kia Corporation-ს, 12 Heolleung-ro,Seocho-gu, Seoul, 06797, Republic of Korea („**Kia HQ**“) გავუზიარებთ, რათაKia HQ-მაKia-ს ავტომობილების და პროდუქტების კიბერ უსაფრთხოების შესაბამისი სტანდარტების მონიტორინგი, ოპერატიულდა ტექნიკურ დონეზე შეძლოს. ეს ნიშნავს, რომ მონაცემები კიბერ უსაფრთხოების საფრთხეებისა და დაუცველობის თავიდან აცილებისთვის, კიბერ უსაფრთხოებაზე პოტენციური თავდასხმების აღმოჩენილ საფრთხეებსა და დაუცველობაზე პასუხისთვის და აღმოფხვრისთვის, ასევე Kia-ს მანქანებისა და პროდუქტების შესაბამისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამუშავდება და გაანალიზდება.
გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ და Kia HQ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ასეთი მიზნებისთვის დავამუშავებთ, როგორც ერთობლივი მაკონტროლებლები.
<u>ამ მიზნით, პერსონალური მონაცემების შემდეგი კატეგორიები მუშავდება</u>: ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერი და კიბერუსაფრთხოების მონაცემები.
<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: Kia HQ-სთვის დამუშავება აუცილებელია ლეგიტიმური ვალდებულების შესასრულებლად (მუხლი 6 (1) გ) GDPR) და Kia HQ-ის კანონიერი ინტერესების მიზნებისათვის (მუხლი 6 (1) ვ) GDPR). Kia HQ-ის ლეგიტიმური ინტერესებია: Kia-ს მანქანების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება. ჩვენთვის დამუშავება აუცილებელია ჩვენი და Kia HQ-ის კანონიერი ინტერესების მიზნებისათვის (მუხლი 6 (1) ვ) GDPR). ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებია: Kia HQ-ს

მხარდაჭერა მოქმედი კანონების დაცვაში და Kia-ს მანქანების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება.

8. OTA (ეთერში) განახლებები

OTA (ეთერში) განახლებები მოიცავს შემდეგს:

8.1. რუკებისა და ინფოტაინმენტის OTA განახლება

„რუკებისა და ინფოტაინმენტის OTA განახლება“ საშუალებას იძლევა:

მანქანების სანავიგაციო სისტემაში არსებული რუქების განახლებები („**Maps Update**“); და/ან

ინფოტაინმენტ სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის განახლებები, ან მთავარი მოწყობილობის პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესებები („**Infotainment Update**“)

ჩვენი სერვერებიდან, ჩაშენებულ ტელემატიკურ სისტემაზე, „ეთერით“ მეთოდის გამოყენება.

დამატებითი ინფორმაცია რუკების განახლებისა და ინფოტაინმენტ OTA-ს განახლების შესახებ, მოწოდებულია Kia Connect-ის გამოყენების პირობების 4.2.3 (b) სექციაშია წარმოდგენილი.

ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, თუ თქვენ რუკების განახლებებს და/ან ინფოტაინმენტის განახლებებს, ვებ-გვერდზე https://update.kia.com/EU/E1/Main, ან დილერთან წვდომით მიიღებთ, ამ განახლებებს „ჰაერით“ არ შემოგთავაზებთ და ჩვენ პერსონალური მონაცემების შესაბამისი დამუშავების მაკონტროლებელი არ ვართ.

8.2. ავტომობილის სისტემის OTA განახლება

ავტომობილის სისტემის OTA განახლება საშუალებას გაძლევთ, ავტომობილის გარკვეული საკონტროლო ბლოკის ჩაშენებული პროგრამული უზრუნველყოფა უახლესი ვერსიებით, ან განახლებული პარამეტრებით („**ავტომობილის სისტემის განახლება**“), ჩვენი სერვერებიდან „ეთერის“ მეთოდის გამოყენებით განაახლოთ. ჩვენ ავტომობილის სისტემის OTA განახლებებს სხვადასხვა მიზეზებისა და მიზნებისათვის გთავაზობთ, კერძოდ, საგარანტიო პერიოდის განმავლობაში დეფექტის გამოსასწორებლად, მწარმოებლის გარანტიის ფარგლებში ან უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა მიზეზების გამო. დამატებითი ინფორმაცია ავტომობილის სისტემის OTA განახლებების შესახებ Kia Connect-ის გამოყენების პირობების 4.2.3.3 (გ) ნაწილშია მოცემული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ,რომ ავტომობილის სისტემის OTA განახლებების მიწოდებასთან დაკავშირებით (მათ შორის, ავტომობილების სისტემის OTA განახლებების ეფექტურობის და მოხერხებულობის ასამაღლებლად, ავტომობილის სისტემის OTA განახლებების ტექნიკურ მოთხოვნებსა და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა (კერძოდ, კიბერ უსაფრთხოებასთან და სისტემის სტაბილურობასთან დაკავშირებით), ასევე ავტომობილების OTA-ს სისტემის განახლებების გლობალურ დონეზე გაშლის და მონიტორინგისთვის), ჩვენ თქვენს პირად მონაცემებს Kia Europe GmbH-ს, Theodor-Heuss-Allee 11, 60486 Frankfurtam Main, Germany-ს („**Kia EU**“) გავუზიარებთ. Kia EU და ჩვენ, თქვენს პერსონალურ მონაცემებს, როგორც ერთობლივი მაკონტროლებლები დავამუშავებთ. ეჭვის თავიდან ასაცილებლად, თუ ავტომობილის სისტემის განახლებებს ვებ გვერდზე https://update.kia.com/EU/E1/Main, ან დილერთან წვდომით მიიღებთ, ამ განახლებებს „ეთერით“ არ შემოგთავაზებენ და ჩვენ პერსონალური მონაცემების შესაბამისი დამუშავების მაკონტროლებელი არ ვართ.

<u>ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება</u>:

ავტომობილის მონაცემები, ავტომობილის სტატუსის ინფორმაცია,

ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები, მდებარეობისა და მოძრაობის მონაცემები, ტექნიკური მონაცემები და OTA-სთან დაკავშირებული მონაცემები.
<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: ჩვენთან დადებული კონტრაქტის შესასრულებლად (მუხლი 6 (1) ბ) GDPR), დამუშავება აუცილებელია. ავტომობილის სისტემის OTA განახლებებთან მიმართებით დამუშავება ასევე ჩვენი და Kia EU-ს ლეგიტიმური ინტერესების მიზნებისათვის (მუხ. 6 (1) ვ) GDPR არის აუცილებელი. ლეგიტიმური ინტერესებია: ავტომობილის სისტემის OTA განახლებების უფრო ეფექტურად და მოსახერხებლად ქცევა და იმის უზრუნველყოფა, რომ ავტომობილის სისტემის OTA განახლებები ტექნიკურ მოთხოვნებსა და სტანდარტებს აკმაყოფილებდეს, განსაკუთრებით, კიბერუსაფრთხოებასთან და სისტემის სტაბილურობასთან დაკავშირებით. დამუშავება აუცილებელია Kia EU-სთვის კანონიერი ვალდებულების შესასრულებლად (მუხლი 6 (1) გ) GDPR) და Kia EU-სა და Kia ჯგუფის სხვა წევრების მიერ მოპოვებული ლეგიტიმური ინტერესების მიზნებისთვის (მუხლი 6 (1) ვ) GDPR). ლეგიტიმური ინტერესებია: Kia EU-ს და Kia-ს ჯგუფის სხვა წევრების სამართლებრივი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა, Kia-ს, როგორც Kia-ს ჯგუფის წევრს შეუძლია, თავის მომხმარებლებს კარგი და შესაბამისი სერვისები მიაწოდოს, რაც ავტომობილის სისტემის OTA განახლებებს უფრო ეფექტურს და მოსახერხებელს გახდის, გლობალურ დონეზე ავტომობილის სისტემის OTA განახლებების გაშლის და მონიტორინგის მართვა და იმის უზრუნველყოფა, რომ ავტომობილის სისტემის OTA განახლებები, ტექნიკურ მოთხოვნებსა და სტანდარტებს აკმაყოფილებს, განსაკუთრებით კიბერ უსაფრთხოებასა და სისტემის სტაბილურობასთან დაკავშირებით.

9. Kia Connect დიაგნოსტიკა

Kia Connect დიაგნოსტიკა: Kia-ს თქვენი ტიპის მანქანის, ან მანქანის მოდელის გაუმართაობის შემთხვევაში, ჩვენ შევძლებთ, მანქანის მწარმოებელს პრობლემის გადაჭრაში, ზოგად საფუძველზე დისტანციური დიაგნოსტიკის გზით დავეხმაროთ. ამ მიზნით, დიაგნოსტიკური პრობლემების კოდს ავტომობილიდან ვაგროვებთ და შემდეგ შესაბამისი მონაცემების ანონიმიზციას ვახორციელებთ, სანამ მონაცემებს მანქანის მწარმოებელს ანალიზისთვის გავუზიარებთ.
<u>ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება</u>: ავტომობილის მონაცემები, ტექნიკური მონაცემები.
<u>სამართლებრივი საფუძველი</u>: დამუშავება აუცილებელია არა მხოლოდ ჩვენი, არამედ Kia-ს მომხმარებლებისა და Kia-ს ავტომობილების მწარმოებლების ლეგიტიმური ინტერესების მიზნებისათვის (მუხლი 6 (1) ვ) GDPR). ლეგიტიმური ინტერესებია: ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრა Kia-ს გარკვეული ტიპის ავტომობილებთან ან ავტომობილების მოდელებთან დაკავშირებით.

10. განახლებები

10.1. ზოგადი

როგორც Kia Connect-ის გამოყენების წესებშია მითითებული, Kia-მ შეიძლება განახლებები შემოგთავაზოთ. განახლებების შეძენა Kia Connect აპლიკაციის მაღაზიის განყოფილებაშია ("Kia Connect Store") შესაძლებელი. განახლებების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, Kia Connect-ის გამოყენების პირობების მე-5 ნაწილი იხილოთ.
თავად განახლებები პერსონალური მონაცემების დამუშავებას არ საჭიროებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი განახლება ზემოთ მითითებულ სერვისს მოიცავს, ან მას ეხება. ასეთ შემთხვევაში,ზემოთ მოცემულ შესაბამის ნაწილში, ამ სერვისთან დაკავშირებით, პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ შეგატყობინებთ. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში განახლების

დასაყენებლად, სერვის „ავტომობილის სისტემის OTA განახლება“ გამოყენება იქნება საჭირო. ავტომობილის სისტემის OTA განახლებასთან დაკავშირებით დამუშავებული პერსონალური მონაცემებისა და ასეთი დამუშავების მოქმედი სამართლებრივი საფუძვლის შესახებ დამატებითი დეტალებისთვის, სექცია 8.2 იხილეთ.

10.2. განახლებების შესახებ სხვა მომხმარებლების ინფორმირება

შესაძლებელია ავტომობილი რამდენიმე მომხმარებლის Kia Connect-ის ანგარიშებთან იყოს დაკავშირებული. თუ ასეა, მომხმარებელს, ვინც თავისი Kia Connect ანგარიში შესაბამის მანქანას პირველმა დაუკავშირა („**მთავარი მომხმარებელი**“) და ნებისმიერ შემდგომ მომხმარებელს, ვინც მანქანა მის Kia Connect ანგარიშს („**გაზიარებული მომხმარებლები**“) ელექტრონული ფოსტით დაუკავშირა, სხვა გაზიარებული მომხმარებლის მიერ, განახლების შეძენისა და შესაბამისი განახლების აქტივაციისა და დეაქტივაციის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შევატყობინებთ.

ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება: პერსონალური მონაცემები, საკონტაქტო დეტალები, ავტომობილის მონაცემები, ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები, ტექნიკური მონაცემები და შესყიდვის დეტალები.

სამართლებრივი საფუძველი: ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად (მუხლი 6 (1) გ) GDPR), დამუშავება აუცილებელია.

11. Kia Connect-ის მაღაზია და შესყიდვის პროცესი

შეგიძლიათ, Kia Connect Store-ში განახლებები და/ან კონკრეტული სერვისები აირჩიოთ და შეიძინოთ და/ან გააააქტიუროთ (როგორც 10.1 ნაწილშია განსაზღვრული). Kia Connect Store-თან დაკავშირებული თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების და შეძენის პროცესის შესახებ დეტალები Kia Connect Store-ის კონფიდენციალურობის შეტყობინებაშია მოცემული, რომელიც ხელმისაწვდომია Kia Connect Store-შია და ასევე აქ: https://connect.kia.com/eu/downloads.

12. გადახდის პროცესი

თქვენი გადახდის დამუშავება კონფიდენციალურობის ცალკეულ შეტყობინებას („**Kia Pay-ს კონფიდენციალურობის შეტყობინება**“) ექვემდებარება, რომელიც თქვენთვის ხელმისაწვდომი მანამ გახდება, სანამ Kia Connect Store-ში შესაბამისი განახლების ან მომსახურებისთვის გადაიხდით. Kia Pay-ის კონფიდენციალურობის შეტყობინება ასევე ხელმისაწვდომია აქ: https://connect.kia.com/eu/downloads.

13. დამუშავების სხვა აქტივობები

დამუშავების ზემოთ მითითებულ ქმედებათა გარდა, თქვენს პერსონალურ მონაცემებს შემდეგი მიზნებისთვის ვამუშავებთ:

13.1. კომუნიკაცია: ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, რათა იმ სერვისებთან, ან კონტრაქტთან დაკავშირებით, საკომუნიკაციო არხებით, მათ შორის თქვენი მანქანის მთავარი მოწყობილობის (მაგალითად, შეტყობინებების ცენტრის, ან ინფოტაინმენტ სისტემის მეშვეობით), ელფოსტის, ტელეფონის და Kia Connect-ის აპლიკაციის მეშვეობით (ამისთვის, Kia Connect აპში გათვალისწინებულია ცალკე ყუთი შემოსული შეტყობინებებისთვის) დაგიკავშირდეთ, რომელიც ჩვენთან გაქვთ დადებული (მაგ. მომხმარებელთა მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, სერვისებთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, Kia Connect-ის გამოყენების პირობებში, ან კონფიდენციალურობის ამ შეტყობინებაში ცვლილებათა შესახებ ინფორმაციის თქვენთვის მოსაწოდებლად). თუ მოწყობილობაზე დაინსტალირებული გაქვთ Kia Connect აპი და მოწყობილობის

პარამეტრებით push-შეტყობინებებია ნებადართული, ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, რათა მოგაწოდოთ ინფორმაცია იმ საკითხებისა და განახლებების შესახებ, რომლებიც Kia Connect აპის ფუნქციონირების შესანარჩუნებლად არის აუცილებელი (მაგალითად, შეტყობინება უსაფრთხოების სისტემის აუცილებელ განახლებაზე, ან მანქანასთან დაკარგულ კავშირზე). როდესაც ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო არხებით დაგვიკავშირდებით (მაგ. ჩვენი ვებგვერდის საკონტაქტო ფორმით, ან Kia Connect აპით, ელფოსტით ან ტელეფონით), თქვენი მოთხოვნის დასამუშავებლად და თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, თქვენთან დასაკავშირებლად, თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ. Kia Connect აპში საკონტაქტო ფორმის გარკვეული ველები წინასწარ იქნება შევსებული, რათა საკონტაქტო ფორმის გამოყენება თქვენთვის უფრო მოსახერხებელი გახდეს. ჩვენს მარკეტინგულ აქტივობებთან დაკავშირებული კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციისთვის, იხილეთ პუნქტი 13.3. თქვენი მანქანისთვის შეძენილი განახლებების შესახებ თქვენთან კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციისთვის, პუნქტი 10.2 იხილეთ.

ამ მიზნით, პერსონალური მონაცემების შემდეგი კატეგორიები მუშავდება: პერსონალური დეტალები, საკონტრაქტო დეტალები, კომუნიკაციის მონაცემები, ავტომობილის მონაცემები, ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები და ტექნიკური მონაცემები.

იურიდიული საფუძველი: ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად (მუხლი 6(1) ბ) GDPR), ან ჩვენ მიერ მოწოდებული კანონიერი ინტერესების მიზნებისათვის (მუხლი 6(1) ვ) GDPR), დამუშავება აუცილებელია. ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებია: ჩვენი მომხმარებლისთვის საუკეთესო სერვისის მიწოდება და ჩვენი მომხმარებლების მოთხოვნების სათანადო პასუხის გაცემა და დამუშავება.

13.2. **ტექნიკური მხარდაჭერა**: თქვენს მანქანასთან და სერვისებთან დაკავშირებით, ტექნიკური პრობლემის გამოვლენის შემთხვევაში, ასეთი ინფორმაციის გაანალიზებისა და აღმოჩენილი პრობლემის გადასაჭრელად, შეიძლება თქვენი ავტომობილიდან ინფორმაციის წაკითხვა დაგვჭირდეს. თქვენი წინასწარი თანხმობით, თქვენი მანქანიდან შევაგროვებთ და დავამუშავებთ ეგრეთ წოდებულ ლოგ-ფაილს, რომელიც ცნობილია, როგორც მთავარი მოწყობილობის ჟურნალის ფაილი, რომელიც პერსონალური მონაცემების გარკვეულ კატეგორიებს შეიცავს. თქვენი თანხმობა ნებაყოფლობითია და შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს (მაგ., ჩვენი საკონტაქტო ფორმის გამოყენებით, რომელიც ხელმისაწვდომია ჩვენს ვებსაიტზე (https://connect.kia.com/eu/customer-support/contact-form/) განყოფილება „მომხმარებელთა მხარდაჭერა“-ის ქვეგანყოფილებაში „დაგვიკავშირდით“). თქვენი თანხმობის გაუქმება გავლენას არ მოახდენს მის გაუქმებამდე, ამგვარი თანხმობის საფუძველზე დამუშავების კანონიერებაზე. თუმცა, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ უარის თქმამ, ან თქვენი თანხმობის გაუქმებამ, თქვენი მანქანისა და სერვისების აღმოჩენილი პრობლემის ანალიზის შეთავაზებაში, ან დასრულებაში შეიძლება ხელი შეგვიშალოს.

ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება: თანხმობის ჩანაწერები, ავტომობილის მონაცემები, ავტომობილის სტატუსის მონაცემები, მდებარეობისა და მოძრაობის მონაცემები, გამოყენებაზე დაფუძნებული მონაცემები და ტექნიკური მონაცემები.

სამართლებრივი საფუძველი: დამუშავება თქვენს წინასწარ თანხმობას ეფუძნება (მუხ. 6 (1) ა) GDPR). თქვენი თანხმობა ნებაყოფლობითია და მისი გაუქმება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ. თქვენი თანხმობის გაუქმება ამგვარი თანხმობის (რომელიც გაუქმებამდე გაიცა) საფუძველზე დამუშავების კანონიერებაზე გავლენას არ მოახდენს.

13.3. **მარკეტინგი**: ჩვენ შეიძლება Kia Connect აპის ფარგლებში თქვენი მანქანის მთავარი მოწყობილობის, ელფოსტის და/ან შეტყობინებების მეშვეობით დაგიკავშირდეთ (Kia Connect აპი ცალკე საფოსტო ყუთს გთავაზობთ), რათა ჩვენს პროდუქტებთან და/ან სერვისებთან, ან Kia ჯგუფის სხვა წევრების პროდუქტებთან და/ან სერვისებთან დაკავშირებით, სარეკლამო ინფორმაცია მოგაწოდოთ, გამოკითხვებში მონაწილეობა, ან თქვენი გამოხმაურების მიწოდება გთხოვოთ.
Kia Connect აპის ელფოსტასთან და შეტყობინებებთან დაკავშირებით, ეს, როგორც წესი, თქვენს წინასწარ თანხმობაზე და ასეთი თანხმობის მოცულობაზეა დამოკიდებული. თანხმობის გაცემა Kia Connect აპის თანხმობის სიაში შესაბამისი თანხმობის ღილაკის გააქტიურებით, ან სხვა შესაბამისი საშუალებებით (თუ გამოიყენება) შეგიძლიათ. თქვენი თანხმობა ნებაყოფლობითია და მისი გაუქმება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ (მაგ. Kia Connect აპის თანხმობის სიაში თანხმობის შესაბამისი ღილაკის გამორთვით). თქვენ ასევე შეგიძლიათ, ჩვენი სარეკლამო ელფოსტის გამოწერაზე ნებისმიერ დროს თქვათ უარი, რისთვისაც გამოწერის გაუქმების ბმულზე უნდა დააწკაპუნოთ, რომელიც ჩვენ მიერ გამოგზავნილ თითოეულ სარეკლამო ელფოსტაშია. თქვენ მიერ თანხმობის გაუქმება, ამგვარი თანხმობის საფუძველზე (რომელიც გაუქმებამდე გაიცა) დამუშავების კანონიერებაზე გავლენას არ მოახდენს. თქვენ თქვენი პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგული მიზნებისთვის დამუშავების გაპროტესტების უფლებაც გაქვთ (დამატებითი ინფორმაციისთვის იხ, პუნქტი 14).
თუ თქვენს ელფოსტის მისამართს სერვისებზე დარეგისტრირების ფარგლებში მოგვაწვდით და თუ წინააღმდეგი არ იქნებით, შეიძლება, თქვენი წინასწარი სპეციალური თანხმობის თხოვნის გარეშე, ელფოსტის შესაბამის მისამართზე Kia Connect-ის მსგავსი სერვისების ან პროდუქტების შესახებ ინფორმაცია გამოგიგზავნოთ. ამის მიზეზი ისაა, რომ თქვენგან, როგორც არსებული მომხმარებლისგან, ასეთ შემთხვევებში კონკრეტული თანხმობა საჭირო არ არის. იგივე ეხება Kia Connect აპის შეტყობინებების მეშვეობით თქვენთვის ამ ინფორმაციის საფოსტო ყუთში გაგზავნას, რომელიც აპის შიგნით ცალკეა მოწოდებული. თუმცა ასეთი მარკეტინგული ელფოსტის მიღებაზე უარის თქმის უფლება ნებისმიერ დროს და რაიმე ხარჯის გაწევის გარეშე (ძირითადი ტარიფების შესაბამისად გადაცემის ხარჯების გარდა) (მაგ. Kia Connect აპში „სერვისთან დაკავშირებული რეკლამის“ სიაში შესაბამისი ღილაკების გამორთვით) გაქვთ. თქვენ ასევე შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს გააუქმოთ ჩვენი სარეკლამო ელფოსტის გამოწერა, რისთვისაც გამოწერაზე უარის თქმის ბმულზე უნდა დააჭიროთ, რომელიც ყოველ სარეკლამო შეტყობინებაშია, რომელსაც ვაგზავნით. თქვენ ასევე უფლება გაქვთ, უარი თქვათ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის (დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ნაწილი 14).
Kia Connect აპის თანხმობის სიის მეშვეობით, ჩვენ ასევე შეიძლება, თქვენგან თანხმობა ევროპაში Kia-ს შვილობილი ორგანიზაციის სახელით მივიღოთ, რათა მათი პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის დაგიკავშირდეთ. ასეთ შემთხვევაში, Kia-ს შესაბამის ერთეულს თქვენი თანხმობის შესახებ ვაცნობებთ და მათ შესაბამის საკონტაქტო ინფორმაციას სათანადოდ გავუზიარებთ. ამ თანხმობის საფუძველზე, Kia-ს შესაბამისი ერთეულის უშუალო მარკეტინგულ აქტივობებთან დაკავშირებით, Kia-ს შესაბამისი ერთეული მოქმედებს, როგორც ასეთ საქმიანობასთან დაკავშირებით, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე მაკონტროლებელი და პასუხისმგებელი. თუ თანხმობის გაუქმება გსურთ, რომელიც თქვენგან Kia-ს შესაბამისი ერთეულის სახელით მოვიპოვეთ, გარდა Kia Connect აპში შესაბამისი თანხმობის ღილაკის დეაქტივაციისა, თქვენ ასევე შეგიძლიათ, თანხმობის გასაუქმებლად, უშუალოდ Kia-ს შესაბამის ერთეულს დაუკავშირდეთ.

ამ მიზნით, პერსონალური მონაცემების შემდეგი კატეგორიები მუშავდება: პერსონალური დეტალები, საკონტაქტო დეტალები, თანხმობის ჩანაწერები, ავტომობილის მონაცემები, ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები და ტექნიკური მონაცემები.
სამართლებრივი საფუძველი: დამუშავება თქვენს წინასწარ თანხმობას (მუხლი 6(1) ა) GDPR, მოქმედ ადგილობრივ მარკეტინგულ კანონებთან ერთად (მაგ. გერმანიის არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კანონის ("UWG") სექცია 7(2) No2) ეფუძნება; ან ეს აუცილებელია ჩვენ მიერ განხორციელებული ლეგიტიმური ინტერესების მიზნებისათვის (მუხლი 6 (1) ვ) GDPR, მოქმედ ადგილობრივ მარკეტინგულ კანონებთან ერთად (მაგ., გერმანიაში, სექ. 7 (3) UWG)). ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებია: ჩვენი სერვისებისა და პროდუქტების პოპულარიზაცია.
თქვენი თანხმობა ნებაყოფლობითია და მისი გაუქმება ნებისმიერ დროს შეგიძლიათ. თქვენი თანხმობის გაუქმება, ამგვარი თანხმობის (რომელიც გაუქმებამდე გაიცა) საფუძველზე დამუშავების კანონიერებაზე გავლენას არ მოახდენს.

13.4. **გამოხმაურება და გამოკითხვები**: დროდადრო, ჩვენ შეიძლება შემოგთავაზოთ, რომ მოგვაწოდოთ თქვენი გამოხმაურება და/ან მონაწილეობა მიიღოთ ჩვენთან და ჩვენს სერვისებთან დაკავშირებულ გამოკითხვებში, მათ შორის, მხარდაჭერის სერვისებში (თქვენთან კომუნიკაციის შესახებ დეტალებისთვის, სექცია 13.1 იხილეთ). თუ თქვენ თქვენს გამოხმაურებას მოგვაწოდებთ, ან ჩვენს გამოკითხვებში მიიღებთ მონაწილეობას, ჩვენ შეიძლება შესაბამისი პერსონალური მონაცემები, გამოხმაურების დამუშავებისა და შეფასებისთვის, ან გამოკითხვის ჩატარების, დამუშავებისა და შეფასებისთვის დავამუშაოთ. ეს იმისთვის კეთდება, რომ ჩვენი სერვისები გავაუმჯობესოთ და ისინი ჩვენი მომხმარებლების საჭიროებებს მოვარგოთ. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება გამოკითხვები Salesforce Marketing Cloud პლატფორმის გამოყენებით ჩავატაროთ, რომელიც მოწოდებულია კომპანია salesforce.com Germany GmbH-ის მიერ, ან ონლაინ კვლევის ინსტრუმენტ Surveymonkey-ის მიერ, რომელიც კომპანია Momentive Europe UC-ის მიერ („**Momentive**“) არის მოწოდებული (ამ პროვაიდერების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის, პუნქტი 15 იხილეთ). Surveymonkey-ზე ჩატარებულ გამოკითხვებში მონაწილეობის მისაღებად, შესაძლოა ბმულზე გადასვლა დაგჭირდეთ, რომელიც გამოკითხვაში მონაწილეობასთან დაკავშირებულ მოწვევაში იქნება ჩართული. როდესაც ბმულზე დააწკაპუნებთ, Momentive-ის ვებგვერდზე გადახვალთ, რომელზეც გამოკითხვა ჩატარდება. Momentive გამოკითხვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ჩვენი სახელით და ჩვენი მიზნებისთვის დაამუშავებს. გარდა ამისა, Momentive-ს შეუძლია: (i) შეაგროვოს და დაამუშაოს ინფორმაცია თქვენი მოწყობილობისა და სხვა ტექნიკური მონაცემების შესახებ, რათა მრავალჯერადი მონაწილეობა თავიდან აიცილოს; და (ii) გამოიყენოს ქუქიები, რათა გამოიცნოს, მონაწილემ გამოკითხვა უკვე მოინახულა თუ არა და გადაანაწილოს პასუხები, რომლებიც შესაბამისმა მონაწილემ უკვე გასცა. Momentive-ის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ, დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია აქ https://www.surveymonkey.com/mp/legal/privacy/.
ამ მიზნით, პერსონალური მონაცემების შემდეგი კატეგორიები მუშავდება: პერსონალური დეტალები, ტექნიკური მონაცემები და შეხედულებები და თვალსაზრისი.
სამართლებრივი საფუძველი: ჩვენს მიერ განხორციელებული კანონიერი ინტერესების მიზნებისათვის (მუხლი 6 (1) ვ) GDPR), დამუშავება აუცილებელია. ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებია: ჩვენი სერვისების გაუმჯობესება.

13.5. **მარშრუტით კმაყოფილება**: დროდადრო, შეიძლება თქვენი მანქანის მთავარი მოწყობილობის მეშვეობით (ინფოტაინმენტ სისტემის მეშვეობით), თქვენი გამოხმაურების გამოგზავნა გთხოვოთ, რათა მარშრუტზე ჩვენი რეკომენდაციებით და მდებარეობის შესახებ ინფორმაციით, თქვენი კმაყოფილება შევაფასოთ.
ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება: ავტომობილის მონაცემები, ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები, მდებარეობისა და მოძრაობის მონაცემები, ტექნიკური მონაცემები და თვალსაზრისი და შეხედულებები.
სამართლებრივი საფუძველი: ჩვენს მიერ განხორციელებული კანონიერი ინტერესების მიზნებისათვის (მუხლი 6 (1) ვ) GDPR), დამუშავება აუცილებელია. ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებია: ჩვენი სერვისების გაუმჯობესება.

13.6. **გაფართოებული POI მომსახურება**: შესაბამის მანქანებზე სერვისი „რეალურ დროში ინტერესის წერტილი (POI) და ონლაინ POI ძიება“ (იხ. ნაწილი 6.2) ჩვენი პარტნიორის, 4.screen GmbH, Sailerstraße 17, 80809 Munich, Germany („**4.screen**“) (იხ. https://www.4screen.com/) მეშვეობით მოწოდებული მონაცემებით გაუმჯობესდება. ეს ნიშნავს, რომ რეალურ დროში POI შეიძლება მესამე მხარის დამატებით სარეკლამო კონტენტს შეიცავდეს. ინფორმაციას მაღაზიების, ან რესტორნების შესახებ (როგორიცაა მათი მდებარეობა) რუკაზე საფირმო სამაგრებით, ან რუკის საძიებო ფუნქციის მეშვეობით მიიღებთ. ასევე მიიღებთ სპეციალურ ფასდაკლებებსა და შეთავაზებებს თქვენი მანქანის სიახლოვეს არსებული მაღაზიებიდან და რესტორნებიდან.
იმისათვის, რომ ესფუნქცია და შესაბამისი ინფორმაცია მოგაწოდოთ, შეიძლება 4.screen-ზე შემდეგი მონაცემების გადატანა დაგჭირდეთ: ძიების მიახლოებითი ზონა, ძიების პირობები, ძიების (POI) კატეგორია, მოწყობილობის ID, მოწყობილობის სავარაუდო მდებარეობა, მთავარი მოწყობილობის ენა და თაობა, ავტომობილის ბრენდი, ძრავის ტიპი (მაგ. EV, ან ბენზინის), ავტომობილის კლასი (მაგ. პატარა, SUV), ავტომობილის წარმოების წელი და ავტომობილის წარმოების ქვეყანა. გარდა ამისა, თუ მოგეწოდებათ შესაბამისი ინფორმაცია და შეთავაზებები, უნიკალური შეთავაზების ID შეიქმნება. პროცესის ინვოისის დასადასტურებლად, შეთავაზების ეს ID ასევე 4.screen-ს გადაეცემა ღონისძიების ტიპთან (მაგ. ნაჩვენებია, დაჭერილია, ნავიგაცია დაწყებულია), ეკრანის ტიპთან (მაგ. მთავარი მოწყობილობა, აპი) და იმ დროის ნიშნულთან ერთად, როდესაც შეთავაზება მოხდა. თუ შეთავაზებები და ინფორმაცია ავტომობილიდან პირდაპირ Kia Connect აპში იგზავნება, როგორც push-შეტყობინებები, ჩვენ ასევე თქვენი მომხმარებლის პროფილის ID-ს დავამუშავებთ.
ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება: ავტომობილის მონაცემები, ფსევდონიმიზებული იდენტიფიკატორები, მდებარეობისა და მოძრაობის მონაცემები, გამოყენებაზე დაფუძნებული მონაცემები და ტექნიკური მონაცემები.
სამართლებრივი საფუძველი: ჩვენთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად (მუხლი 6(1) ბ) GDPR), დამუშავება აუცილებელია.

13.7. **მონაცემთა გაზიარება**: თქვენი პერსონალური მონაცემების მესამე მხარეებთან გაზიარების შესახებ დეტალები, მოცემულია 15 პუნქტში.

13.8. **ბიზნესის ოპერირება**: შიდა მართვისა და ადმინისტრირების მიზნებისთვის, მათ შორის, ჩანაწერების მართვის, ან სხვა შიდა პროტოკოლების წარმოებისთვის, ჩვენ პერსონალური მონაცემების გარკვეულ კატეგორიებს ვამუშავებთ, რომლებიც ზემოთ არის ნახსენები.

სამართლებრივი საფუძველი: ჩვენს მიერ განხორციელებული კანონიერი ინტერესების მიზნებისათვის (მუხლი 6 (1) ვ) GDPR), დამუშავება აუცილებელია. ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებია: ჩვენი ბიზნესის სათანადო და ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

13.9. **სამართლებრივი შესაბამისობა**: ზემოხსენებული პერსონალური მონაცემების გარკვეული კატეგორიები შეიძლება მოქმედი კანონების, დირექტივების, რეკომენდაციების, ან მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნების დასაცავად (მაგ. სასამართლოებისა და მარეგულირებელი ორგანოების, მათ შორის, პოლიციისთვის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების მოთხოვნა) დავამუშაოთ.
სამართლებრივი საფუძველი: ასეთი დამუშავება აუცილებელია: (i) იმ სამართლებრივი ვალდებულების შესასრულებლად, რომელსაც ჩვენ ვექვემდებარებით (მუხლი 6(1) c) GDPR); ან (ii) ჩვენი კანონიერი ინტერესების მიზნებისათვის (მუხლი 6 (1) ვ) GDPR). ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებია: მოქმედი სამართლებრივი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა.

13.10. **სამართალწარმოება და გამოძიება**: ზემოაღნიშნული პერსონალური მონაცემები შეიძლება ჩვენი უფლებებისა და ინტერესების შეფასების, აღსრულებისა და დაცვის მიზნით დავამუშაოთ.
სამართლებრივი საფუძველი: ჩვენს მიერ განხორციელებული კანონიერი ინტერესების მიზნებისათვის (მუხლი 6 (1) ვ) GDPR), დამუშავება აუცილებელია. ჩვენი კანონიერი ინტერესებია: ჩვენი ინტერესების და უფლებების დაცვა.

14. **თქვენი უფლებები**

მართალია, თქვენი თანხმობის საფუძველზე, თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ, თქვენ უფლება გაქვთ, თქვენი თანხმობა ნებისმიერ დროს (მუხლი 7 (3) GDPR) გააუქმოთ. თქვენი თანხმობის გაუქმება, მის გაუქმებამდე, ამგვარი თანხმობის საფუძველზე დამუშავების კანონიერებაზე გავლენას არ მოახდენს.
მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, შეიძლება შემდეგი უფლებები გქონდეთ: თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება (მუხ. 15GDPR), თქვენი პერსონალური მონაცემების გასწორების უფლება (მუხ. 16 GDPR), თქვენი პერსონალური მონაცემების წაშლის უფლება (მუხლი 17 GDPR), თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვის უფლება (მუხლი 18 GDPR), მონაცემთა გადატანის უფლება (მუხლი 20 GDPR) და თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე უარის თქმის უფლება (მუხლი 21(1) და(2) GDPR).
თქვენ ასევე მონაცემთა დაცვის კომპეტენტურ ორგანოში საჩივრის შეტანის უფლება გაქვთ (მუხ. 77 GDPR).
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მონაცემთა დაცვის მოქმედი ადგილობრივი კანონებით, ეს უფლებები შეიძლება გარკვეულ შეზღუდვებს დაექვემდებაროს. ჰესეს მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო მონაცემები (*Der Hessische Beauftragte für Datenschutz und Informationsfreiheit*) შემდეგია: Gustav-Stresemann-Ring 1, 65189 Wiesbaden, Germany, ტელეფონი: +49 (0) 611 /1408-0, https: /datenschutz.hessen.de/
თითოეული ამ უფლების, მათ შორის, იმ გარემოებების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია, რომლებშიც ისინი გამოიყენება, იხილეთ 14 ნაწილი ან დაგვიკავშირდით. თუ რომელიმე ამ უფლების გამოყენება გსურთ, ჩვენ ან ჩვენს DPO-ს (საკონტაქტო ინფორმაციის დეტალებისთვის იხ. 2 და 3 ნაწილები) დაგვიკავშირდით.

14.1. **წვდომის უფლება**: თქვენუფლება გქონდეთ, ჩვენგან იმის დადასტურება მიიღოთ, დამუშავებულია თუ არა თქვენს შესახებპერსონალური მონაცემები და თუ ასეა, პერსონალურ მონაცემებზე და გარკვეულ დამატებით ინფორმაციაზე წვდომა მოითხოვოთ. ასეთი ინფორმაცია, მათ შორის, მოიცავს დამუშავების მიზნებს, პერსონალური მონაცემების კატეგორიებს და მიმღებებს, ან მიმღებთა კატეგორიებს, რომლებსაცეს პერსონალური მონაცემები გადაეცათ, ან გადაეცემათ. თუმცა გაითვალისწინეთ, რომ სხვა პირების ინტერესებმა შეიძლება თქვენი წვდომის უფლება შეზღუდოს.
თქვენ შეიძლება დამუშავებული პერსონალური მონაცემების ასლის მიღების უფლება გქონდეთ. თქვენ მიერ მოთხოვნილი დამატებითი ასლებისთვის, ადმინისტრაციული ხარჯებიდან გამომდინარე, შეიძლება გონივრული გადასახადი დავაწესოთ.

14.2. **გასწორების უფლება**: თქვენ შეიძლება უფლება გქონდეთ, ჩვენგან თქვენს შესახებ არაზუსტი პერსონალური მონაცემების გასწორება მოითხოვოთ. დამუშავების შესაბამისი მიზნებიდან გამომდინარე, თქვენ შეიძლება არასრული პერსონალური მონაცემების შევსების უფლება გქონდეთ, მათ შორის, დამატებითი განცხადების მეშვეობით.

14.3. **წაშლის უფლება („დავიწყების უფლება“)**: გარკვეულ გარემოებებში, თქვენ შეიძლება უფლება გქონდეთ, ჩვენგან თქვენს შესახებ პერსონალური მონაცემების წაშლა მოითხოვოთ და ჩვენ შეიძლება ასეთი პერსონალური მონაცემების წაშლის ვალდებულება გვქონდეს.
მაგალითად, შეგიძლიათ მოითხოვოთ წაშლა, თუ პერსონალური მონაცემები აღარ არის საჭირო იმ მიზნებისთვის, რისთვისაც ისინი შეგროვდა, ან სხვაგვარად მუშავდება. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება წაშლის შესახებ თქვენი მოთხოვნა უარვყოთ. მაგალითად, თუ დამუშავება ჩვენთვის სამართლებრივი მოთხოვნების განსახორციელებლად, ან დასაცავად არის აუცილებელი.

14.4. **დამუშავების შეზღუდვის უფლება**: გარკვეულ გარემოებებში, თქვენ შეიძლება უფლება გქონდეთ, რომ ჩვენგან თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა მოითხოვოთ. მაგალითად, თუ თქვენი პერსონალური მონაცემების სიზუსტეში ეჭვი გეპარებათ, შეგიძლიათ, ამ პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა მოითხოვოთ, სანამ მის სიზუსტეს ვამოწმებთ. ამ შემთხვევაში, შესაბამისი მონაცემები დროშით აღინიშნება და ჩვენ მიერ, მხოლოდ გარკვეული მიზნებისთვის შეიძლება დამუშავდეს.

14.5. **მონაცემთა გადატანის უფლება**: გარკვეულ გარემოებებში, თქვენ შეიძლება უფლება გქონდეთ, თქვენს შესახებ პერსონალური მონაცემები, რომლებიც მოგვაწოდეთ, სტრუქტურირებულ, ჩვეულებრივ გამოყენებად და მანქანით წაკითხვად ფორმატში მიიღოთ და შეიძლება ამ მონაცემების სხვა კონტროლიორისთვის ჩვენგან დაბრკოლების გარეშე გადაცემის უფლება გქონდეთ.

14.6. **გაპროტესტების უფლება**: გარკვეულ გარემოებებში და იმ შემთხვევებში, როდესაც დამუშავება ლეგიტიმურ ინტერესებზეა დაფუძნებული (მუხლი 6 (1) F) GDPR), შესაძლოა უფლება გქონდეთ, თქვენი კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, თქვენი პერსონალური მონაცემების ჩვენ მიერ დამუშავება ნებისმიერ დროს გააპროტესტოთ და ჩვენ შეიძლება ვალდებული ვიყოთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება შევწყვიტოთ.
გარდა ამისა, თუ თქვენი პერსონალური მონაცემები პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მუშავდება, თქვენ უფლება გაქვთ, ასეთი მარკეტინგის მიზნებისთვის, იმ ხარისხით პროფილირების ჩათვლით, რითაც ის ასეთ პირდაპირ მარკეტინგთან არის დაკავშირებული, თქვენთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავება

ნებისმიერ დროს გააპროტესტოთ. ამ შემთხვევაში, თქვენს პერსონალურ მონაცემებს ასეთი მიზნებისთვის აღარ დავამუშავებთ.

15. მიმღებები და მიმღებთა კატეგორიები

Kia-ში თქვენს პერსონალურ მონაცემებზე ნებისმიერი წვდომა მხოლოდ იმ პირებს აქვთ, რომლებსაც მათი ცოდნა, თავიანთი სამუშაო მოვალეობების შესასრულებლად სჭირდებათ.
თქვენს პერსონალურ მონაცემებს შესაბამისი მიზნებისთვის და მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონების შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილ მიმღებებს და მიმღებთა კატეგორიებს გავუმხელთ:

- **Kia group-ის კომპანიები** – ჩვენ შეიძლება თქვენი პერსონალური მონაცემები სხვა კომპანიებს გავუმჟღავნოთ, რომლებიც Kia group-ის წევრები არიან, მათ შორის ჩვენს შვილობილ კომპანიებს ევროპაში და Kia Corporation-ს კორეის რესპუბლიკაში.

- რამდენადაც ასეთ მონაცემებს Kia group-ის სხვა წევრებს, შიდა ადმინისტრაციული მიზნებისთვის ვუმხელთ, ასეთი გამჟღავნება ჩვენი ოპერატიული და ბიზნეს ინტერესებისთვის (მუხლი 6 (1) ვ) GDPR) აუცილებელია. ჩვენ ასევე შეიძლება ასეთი მონაცემები გავამჟღავნოთ, რადგან ეს თქვენთან ჩვენი კონტრაქტის შესასრულებლად (მუხლი 6 (1) ბ) GDPR) აუცილებელია.

- გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში, ინფორმაციის გამჟღავნება შეიძლება თქვენი თანხმობის საფუძველზე მოხდეს (მუხლი 6 (1) ა) GDPR). მაგალითად შეგიძლიათ, სხვადასხვა მიზნებისთვის, ავტომობილის გარკვეული მონაცემების Kia-ს შესაბამის ეროვნულ გაყიდვების კომპანიისთვის, ან თქვენს ევროპულ ქვეყანაში დისტრიბუტორისთვის გაზიარებას დაეთანხმოთ, რისთვისაც Kia Connect აპლიკაციის თანხმობის სიაში, თანხმობის შესაბამისი ღილაკები უნდა გააქტიუროთ. დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, Kia Connect აპის თანხმობის სია იხილოთ. როდესაც თქვენ ასეთ თანხმობას იძლევით, თქვენი თანხმობა ნებაყოფლობითია და შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს (მაგ. Kia Connect აპლიკაციის თანხმობის სიაში, თანხმობის შესაბამისი ღილაკის დეაქტივაცია). თქვენი თანხმობის გაუქმება, მის გაუქმებამდე, ამგვარი თანხმობის საფუძველზე დამუშავების კანონიერებაზე გავლენას არ მოახდენს.

- Kia-ს გაყიდვების ეროვნულ კომპანიას, ან თქვენს ქვეყანაში არსებულ დისტრიბუტორს ავტომობილთან დაკავშირებული იმ შეტყობინებების შესახებ (იხ. ნაწილი [No Segment found with ID: 292909]) ვაცნობებთ, რომლებიც თქვენ გამოგიგზავნეთ, რათა თქვენთვის, ერთი და იმავე შეტყობინების Kia ჯგუფის სხვადასხვა კომპანიისგან მრავალი არხით მიღება თავიდან აგვერიდებინა. ეს ჩვენი და ინფორმაციის შესაბამისი მიმღების კანონიერი ინტერესების მიზნებისათვის (მუხლი 6 (1) ვ) GDPR) არის აუცილებელი. შესაბამისი მიმღების და ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებია: ჩვენი მომხმარებლებისთვის საუკეთესო მომსახურების მიწოდება, რამდენადაც ამ ინფორმაციის გაზიარება მომხმარებელთა იმედგაცრუებას თავიდან აგვაცილებს, რაც შეიძლება Kia ჯგუფის სხვადასხვა კომპანიებისგან მრავალი არხით ერთი და იმავე შეტყობინების მიღებამ გამოიწვიოს.

- ჩვენ პერსონალურ მონაცემებს Kia Corporation-ს, 12 Heolleung-ro, Seocho-gu, Seoul, 06797, Republic of Korea ვუზიარებთ, როგორც ერთობლივ

კონტროლიორს, Kia-ს მანქანებისა და პროდუქტების შესაბამისი კიბერ უსაფრთხოების სტანდარტების უზრუნველსაყოფად (დამატებითი დეტალებისთვის, 2.3 და 7 პუნქტები იხილეთ).

- ჩვენ პერსონალურ მონაცემებს Kia Europe GmbH-ს, Theodor-Heuss-Allee 11, 60486 Frankfurt, Germany ვუზიარებთ, როგორც ავტომობილის სისტემის OTA განახლებების მიწოდებასთან დაკავშირებით, ერთობლივ კონტროლიორს (დამატებითი დეტალებისთვის, 2.4 და 8.2 პუნქტები იხილეთ).

- **ტელეკომუნიკაციების მიმწოდებლები** – ჩვენი სერვისების თქვენთვის მოწოდების მიზნით (მუხლი 6 (1) ბ) GDPR), ჩვენ შეიძლება თქვენი პერსონალური მონაცემები Vodafone-ის ჯგუფის კონკრეტულ წევრებს გავუმჟღავნოთ (კერძოდ, შემდეგს: Vodafone GmbH, Ferdinand-Braun-Platz 1, 40549 Düsseldorf, Germany და Vodafone Global Enterprise Ltd, Vodafone House, The Connection, Newbury, RG14 2FN UK), რომლებიც შესაბამის სატელეკომუნიკაციო მომსახურებას უზრუნველყოფს. Vodafone-ის ჯგუფის შესაბამისი წევრები თქვენს პერსონალურ მონაცემებს, როგორც დამოუკიდებელი კონტროლიორები, დაამუშავებს.

- **სერვისის მიმწოდებლები** – ჩვენ შეიძლება თქვენი პერსონალური მონაცემები გარკვეულ მესამე მხარეს, აფილირებულ თუ არააფილირებულ პირებს გავუმჟღავნოთ, რომლებიც ასეთ მონაცემებს ჩვენი სახელით, სერვისების მიმწოდებლების რანგში, შესაბამისი ინსტრუქციების საფუძველზე ამუშავებენ, როგორც დამუშავების შესაბამისი მიზნებისთვის არის საჭირო (მუხლი 28 (3) GDPR). ამ დამმუშავებლებზე სახელშეკრულებო ვალდებულებები ვრცელდება, რომელთა შესაბამისადაც, ისინი ვალდებული არიან, შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომები მიიღონ, პერსონალური მონაცემების დაცვა უზრუნველყონ და ისინი მხოლოდ ჩვენი ინსტრუქციების შესაბამისად დაამუშაონ. ჩვენი სერვისების მიმწოდებლებს მიეკუთვნებიან:

- ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური მომსახურების სერვისის მიმწოდებელი, რომელიც არის **Hyundai AutoEver Europe GmbH**, Kaiserleistraße 8a, 63067 Offenbach am Main, Germany.

- ჩვენი მომხმარებლის მონაცემთა მართვის პლატფორმების და დაკავშირებული ავტომობილების მონაცემთა მართვის პლატფორმების სერვისების მიმწოდებლები, რომლებიც არიან **salesforce.com Germany GmbH**, Erika-Mann-Strasse 31-37, 80636 Munich, Germany და **Amazon Web Services EMEA SARL**, 38 avenue, John. F. Kennedy, L-1855, Luxembourg, მათი სერვერებით, რომლებიც ევროკავშირში/EEA-ში მდებარეობს.

- სერვისის მიმწოდებელი **Hyundai AutoEver Corp.**, 510, Teheran-ro, Gangnam-gu, Seoul, Republic of Korea, რომელიც უზრუნველყოფს დახმარებას უსაფრთხოების მოვლენების ანალიზსა და მართვაში, როგორც 7 პუნქტში არის მითითებული.

- სერვისის მიმწოდებელი **Momentive Europe UC**, Second Floor, 2 Shelbourne Buildings, Shelbourne Road, Dublin 4, Ireland, რომელიც გამოკითხვების ჩატარებისა და შეფასების მიზნით, ონლაინ კვლევის

ინსტრუმენტ Surveymonkey-ს და მასთან დაკავშირებულ სერვისებს გვთავაზობს.

- სერვისის მიმწოდებელი **Cerence B.V.**, CBS Weg 11, 6412EX Heerlen, Netherlands, რომელიც ონლაინ ხმის ამოცნობის სერვისთან დაკავშირებულ სერვისებს უზრუნველყოფს.
- სერვისის პროვაიდერი **LexisNexis Risk Solutions (Europe) Limited**, Riverside One, Sir John Rogerson's Quay, Dublin 2 D02 X576, Ireland, რომელიც გვეხმარება მართვის უსაფრთხოების ქულის სერვისთან დაკავშირებული შესაბამისი მონაცემების ანალიზში.
- ჩვენი შვილობილი სუბიექტები ევროკავშირში/EEA-ში, რომლებიც მომხმარებელთა მხარდაჭერასთან დაკავშირებულ სერვისებს, მათ შორის, სატელეფონო ცენტრების სერვისებს უზრუნველყოფენ.
- სერვისის მიმწოდებლები **TomTom Global Content B.V.** და **HERE Europe B.V**., რომლებიც რუკასთან დაკავშირებულ სერვისებს უზრუნველყოფენ.
- სერვისების სხვა მიმწოდებლები, კონკრეტულ სერვისებთან დაკავშირებით არიან ჩართულნი, როგორც ზემოთ განყოფილებებშია მითითებული.
- **სამთავრობო ორგანოები, სასამართლოები და მსგავსი მესამე მხარეები, რომლებიც საჯარო ორგანოებია** – ჩვენ შეიძლება თქვენი პერსონალური მონაცემები სამთავრობო ორგანოებს, სასამართლოებს და მსგავს მესამე პირებს გავუმჟღავნოთ, რომლებიც არიან საჯარო ორგანოები, როდესაც ჩვენ ამის კანონიერი ვალდებულება (მუხლი 6 (1) c) GDPR) გვაქვს, ან ჩვენი ინტერესების დაცვის, ან ჩვენი უფლებების დაცვის მიზნით (მუხლი 6 (1) f) GDPR). ეს მიმღებები შესაბამის პერსონალურ მონაცემებს, დამოუკიდებელი კონტროლიორების რანგში დაამუშავებენ.
- **გარე პროფესიონალი მრჩევლები** – ჩვენ შეიძლება თქვენი პერსონალური მონაცემები ჩვენს საგადასახადო კონსულტანტებს, აუდიტორებს, ბუღალტრებს, იურიდიულ მრჩევლებს და სხვა გარე პროფესიონალ მრჩევლებს, ჩვენი ბიზნესის მართვის მიზნით (მუხლი 6 (1) f) GDPR) გავუმჟღავნოთ. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება მონაცემები ასევე ჩვენი ინტერესების დაცვის, ან ჩვენი უფლებების დაცვის მიზნით (მუხლი 6 (1) f) GDPR) გავამჟღავნოთ. ჩვეულებრივ, ეს მიმღებები შესაბამის პერსონალურ მონაცემებს, როგორც დამოუკიდებელი კონტროლიორები ამუშავებენ.
- **მესამე მხარის შემძენნი** – იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი აქტივების, ან ბიზნესის მთელ, ან გარკვეულ ნაწილს (რეორგანიზაციის, ან ლიკვიდაციის ჩათვლით) ვყიდით ან გადავცემთ, ჩვენ შეიძლება თქვენი პერსონალური მონაცემები მესამე მხარის შემძენებს (მუხლი 6 (1) ვ) GDPR) გავუმჟღავნოთ. ეს მიმღებები შესაბამის პერსონალურ მონაცემებს დაამუშავებენ, როგორც დამოუკიდებელი კონტროლიორები.
- **სხვები** - ჩვენ შეიძლება თქვენი პერსონალური მონაცემები ასევე სხვა მესამე პირებს (სადაზღვევო კომპანიებს, სალიზინგო კომპანიებს, ფინანსური მომსახურების მიმწოდებლებს, ავტოპარკებს, მონაცემთა აგრეგატორებს) გავუმჟღავნოთ; თუმცა, თქვენს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ ასეთ მესამე მხარეებს იმ შემთხვევაში გავუზიარებთ, თუ: (i) ამგვარ გამჟღავნებაზე წინასწარი თანხმობა გაეცით (მუხლი 6 (1) a) GDPR); (ii) ასეთი გამჟღავნება ჩვენი კონტრაქტის, ან შესაბამის მესამე მხარესთან გაფორმებული

კონტრაქტის შესასრულებლად (მუხლი 6 (1) b) GDPR) არის აუცილებელი; ან (iii) გაზიარება აუცილებელია შესაბამისი მესამე მხარის ლეგიტიმური ინტერესების მიზნებისათვის, რამდენადაც ასეთი ლეგიტიმური ინტერესი არ ეწინააღმდეგება თქვენს ინტერესებს, ძირითად უფლებებს, ან თავისუფლებებს (მუხლი 6 (1) f) GDPR). ეს მიმღებები შესაბამის პერსონალურ მონაცემებს, როგორც დამოუკიდებელი კონტროლიორები დაამუშავებენ.

- ავტომობილის წარმოების თარიღზე, ან მის მახლობლად და სანამ მანქანა პირველად განთავსდება ბაზარზე და გაიყიდება, მონაცემთა წინასწარ შერჩეული აგრეგატორებით, გარკვეულ ინფორმაციას მძღოლის იმ დამხმარე სისტემის (“**ADAS**”) შესახებ ვაზიარებთ (კერძოდ, ავტომობილის აწყობის შესახებ ინფორმაცია (VBI), რომელიც მოიცავს ავტომობილის საიდენტიფიკაციო ნომერს (VIN), მოდელს, შესრულებას, სამოდელო წელს, ფასს, ფერს, საწვავის ტიპს, კვების სისტემას, გამონაბოლქვს, კლასს, სიმძლავრეს და დამონტაჟებულ აღჭურვილობას, ADAS უსაფრთხოების სისტემების ჩათვლით), რომელიც მანქანაზეა გამოყენებული. გაზიარების დროს, შესაბამისი მონაცემები ინდივიდს არ ეხება და შესაბამისად, პერსონალურ მონაცემებს არ წარმოადგენს. მონაცემები ჩვენ მიერ არის გაზიარებული და შემდეგ, მონაცემთა აგრეგატორების მიერ, შესაძლო თაღლითური პრაქტიკისგან დაცვისა და Kia-ს ავტომობილების მძღოლების, ან მფლობელებისთვის დაზღვევის პროცესის გამარტივების მიზნით მუშავდება. გარდა ამისა, ჩვენ ასევე ასეთ მონაცემებს ჩვენი პროდუქციის ანალიზის, გაუმჯობესებისა და განვითარების ჩვენი მიზნებისთვის ვამუშავებთ. როდესაც ამ მონაცემებს ჩვენი მიზნებისთვის ვამუშავებთ, მას შემდეგ, რაც ავტომობილი ბაზარზე განთავსდება და პირველად გაიყიდება, ნებისმიერი ასეთი დამუშავების აქტივობის განხორციელებამდე, შესაბამისი მონაცემების ანონიმურობას უზრუნველვყოფთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ შესაბამისი მონაცემებით თქვენი იდენტიფიცირება შეუძლებელია.

16. მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადაცემა

ჩვენ კომპანიების საერთაშორისო ჯგუფის წევრი ვართ. ამიტომ, ჩვენ შეიძლება პერსონალური მონაცემები Kia group-ის ფარგლებში და სხვა მესამე მხარეებს გადავცეთ, როგორც ეს 15 პუნქტში არის მითითებული.

ამ მიმღებთაგან ზოგიერთი შეიძლება მდებარეობდეს, ან შესაბამისი ოპერაციები, თქვენი ქვეყნის და ევროკავშირის/EEA-ს გარეთ (მაგ. კორეის რესპუბლიკაში, გაერთიანებულ სამეფოში, ან აშშ-ში) („**მესამე ქვეყანა**“) ჰქონდეს.

ზოგიერთი მესამე ქვეყნისთვის (მაგ., კორეის რესპუბლიკა, დიდი ბრიტანეთი), რომელთა შორისაც ასევე არის აშშ, რამდენადაც მიმღები კომპანია აშშ-ში, ევროკავშირ-აშშ-ის მონაცემთა კონფიდენციალურობის ჩარჩო პროგრამაში მონაწილეობს, ევროკომისიამ დაადგინა, რომ ისინი პერსონალური მონაცემების დაცვის ადეკვატურ დონეს უზრუნველყოფენ (იხ. https://www.dataprivacyframework.gov)(„**ადეკვატური იურისდიქციები**“).

როდესაც პერსონალურ მონაცემებს მიმღებს გადავცემთ, რომელიც იმ მესამე ქვეყანაში მდებარეობს, რომელსაც ადექვატური იურისდიქცია განსაზღვრული არ აქვს, ჩვენ (ან ჩვენი დამმუშავებლები ევროკავშირში/EEA-ში, რომლებიც სიტუაციის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემებს ასეთ მესამე ქვეყნებში ქვე-დამამუშავებელებს გადასცემენ) მიმღებთან მონაცემთა გადაცემის თაობაზე, ხელშეკრულების გაფორმებით, რაც ევროკომისიის მიერ არის დამტკიცებული (სტანდარტული სახელშეკრულებო დებულებები), შესაბამისი გარანტიების, ან მონაცემთა დაცვის ადეკვატური დონის უზრუნველსაყოფად, სხვა ეფექტურ ზომებს მივმართავთ.

დაცვის შესაბამისი ღონისძიებების ასლის მოთხოვნა ჩვენგან, ან ჩვენი DPO-სგან შეიძლება (იხ. 2 და 3 ნაწილები).

17. მონაცემთა შენარჩუნება

17.1. ზოგადი: თქვენი პერსონალური მონაცემები ინახება ჩვენს და/ან ჩვენი სერვისის მიმწოდებლების მიერ, არა უმეტეს იმ დროისა, რაც იმ მიზნებისათვის არის აუცილებელი, რომლებისთვისაც პერსონალური მონაცემები გროვდება და რომლებიც ზემოთ არის ჩამოთვლილი.
როდესაც თქვენი პერსონალური მონაცემები ასეთი მიზნებისთვის აღარ გვჭირდება, მათ ჩვენი სისტემებიდან და/ან ჩანაწერებიდან წავშლით და/ან მათი ანონიმურობისთვის ზომებს მივიღებთ, რათა მონაცემებიდან თქვენი იდენტიფიცირება შეუძლებელი იყოს (თუ ჩვენ ვალდებული არ ვართ, რომ შესაბამისი პერსონალური მონაცემები იმ სამართლებრივი, ან მარეგულირებელი ვალდებულებების შესასრულებლად შევინახოთ, რომლებსაც ვექვემდებარებით; მაგალითად, პერსონალურ მონაცემებზე, რომლებსაც კონტრაქტები, შეტყობინებები და საქმიანი მიმოწერები შეიცავს, შეიძლება შენახვასთან დაკავშირებით, კანონით დადგენილი მოთხოვნები გავრცელდეს).
შენახვის ვადა შეიძლება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად გაგრძელდეს, როდესაც დამუშავება სამართლებრივი პრეტენზიების ჩამოყალიბების, განხორციელების, ან დაცვისთვის არის აუცილებელი და ჩვენ, ან მესამე პირებს, შესაბამისი ლეგიტიმური ინტერესი გვაქვს (მაგალითად, მოსალოდნელი სამართლებრივი (ადმინისტრაციული და/ან სასამართლო) პროცედურების და ასეთი სამართლებრივი წარმოების პერიოდში, მათ შორის, ნებისმიერი რეგრესული მოთხოვნების ვადის ჩათვლით).

17.2. **მონაცემთა ხელით წაშლა მთავარ მოწყობილობაში და Kia Connect აპში**: თქვენ შეგიძლიათ, მთავარ მოწყობილობაში სერვისების გამორთვით, მთავარ მოწყობილობაში შენახული თქვენი პერსონალური მონაცემები ხელით წაშალოთ. ამისათვის (1) მანქანის მთავარ მოწყობილობაზე „Kia Connect“ ხატულაზე დააწკაპუნეთ, (2) აირჩიეთ „Kia Connect პარამეტრები“, (3) მარცხნივ მენიუ ქვემოთ გადაახვიეთ, რათა „Deactivate Kia Connect“ აირჩიოთ, (4) ღილაკს „Deactivate“ დააჭირეთ. შემდეგ სისტემა დეაქტივაციის პროცესში გაგიძღვებათ და მონაცემების წაშლას შემოგთავაზებთ.
ყურადღება: გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მთავარი მოწყობილობის ქარხნულ ნაგულისხმევ პარამეტრებზე გადაყენება, სერვისების დეაქტივაციას არ იწვევს. თქვენ დეაქტივაციის ზემოთ აღწერილ პროცესს უნდა მიჰყვეთ.
ზემოთ აღწერილი დეაქტივაციის შემდეგ, შესაბამისი ავტომობილის სერვისები გამოირთვება, მთავარ მოწყობილობაში არსებული მონაცემები წაიშლება და მანქანა Kia Connect აპში თქვენი ანგარიშიდან გაითიშება. ასევე წაიშლება ინფორმაცია, რომელიც ჩვენ მთავარი მოწყობილობის მეშვეობით გადმოგვეცა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შენახვის ვადები მოქმედებს (იხილეთ პუნქტი 17.1).
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თქვენს Kia Connect აპლიკაციის ანგარიშში, ავტომობილთან დაკავშირებული მონაცემები ასევე წაიშლება. თუმცა, თქვენს ანგარიშში არსებული ნებისმიერი სხვა მონაცემი უცვლელი დარჩება. თუ თქვენ ასევე გსურთ, რომ Kia Connect აპში თქვენი ანგარიში წაშალოთ, Kia Connect აპში ანგარიშის წაშლის პროცესს მიჰყევით.
გამორთეთ თქვენი Kia Connect აპის ანგარიში, მანქანის მთავარ მოწყობილობაში მთავარი მოწყობილობის სერვისები კვლავ იმუშავებს.
გადატვირთეთ მთავარი მოწყობილობა, თქვენი მანქანა Kia Connect აპიდან გათიშულია; თუმცა, ეს Kia Connect აპის მუშაობას არ შეაფერხებს.

18. მონაცემების უსაფრთხოება

ჩვენ შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომები დავნერგეთ, რათა თქვენი პერსონალური მონაცემები შემთხვევითი, ან უკანონო განადგურებისგან, დაკარგვისგან, ცვლილებისგან, არაავტორიზებული გამჟღავნებისგან, არაავტორიზებული წვდომისა და დამუშავების სხვა უკანონო ფორმებისგან დავიცვათ. თუმცა, რადგან ინტერნეტი ღია სისტემაა, ინტერნეტის საშუალებით მონაცემთა გადაცემა სრულიად უსაფრთხო არ არის. მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების ზომებს, ტექნიკური განვითარების შესაბამისად, მუდმივად ვაუმჯობესებთ და იმისათვის, რომ თქვენი ნებისმიერი პერსონალური მონაცემისთვის, რომელსაც ჩვენ ვამუშავებთ, უსაფრთხოების შესაბამისი დონე უზრუნველვყოთ, თქვენი მონაცემების უსაფრთხოებაზე, რომლებიც ჩვენთვის ინტერნეტით არის გადმოცემული, გარანტიას ვერ ვიძლევით.

19. ხაზგარეშე რეჟიმი (მოდემი გამორთულია)

თქვენ შეგიძლიათ, ხაზგარეშე რეჟიმის გააქტიურება, მთავარ მოწყობილობაში შესაბამისი სურვილის დაყენებით აირჩიოთ. თუ ხაზგარეშე რეჟიმი ჩართულია, სერვისის ყველა ფუნქცია გამოირთვება და პერსონალური მონაცემები, კერძოდ, მდებარეობის მონაცემები (GPS მონაცემები), არ გროვდება. ხაზგარეშე რეჟიმის ხატულა ავტომობილის მთავარი მოწყობილობის ეკრანის ზედა ნაწილში გამოისახება.

20. განახლებები

კონფიდენციალურობის ეს შეტყობინება შეიძლება დრო და დრო შეიცვალოს, ან განახლდეს, რათა აისახოს ცვლილებები პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებულ ჩვენს პრაქტიკაში, ან ცვლილებები მოქმედ კანონმდებლობაში. ჩვენ მოგიწოდებთ, კონფიდენციალურობის ეს შეტყობინება ყურადღებით წაიკითხოთ და რეგულარულად განიხილოთ ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შეიძლება კონფიდენციალურობის ამ შეტყობინების პირობების შესაბამისად განვახორციელოთ. კონფიდენციალურობის განახლებულ შეტყობინებას ჩვენს ვებსაიტებზე, Kia Connect აპლიკაციაში და მთავარ მოწყობილობაში გამოვაქვეყნებთ. ბოლო განახლების თარიღი კონფიდენციალურობის ამ შეტყობინების ზედა ნაწილშია მითითებული.

21. განმარტებები

„**კონტროლიორი**“ ნიშნავს ფიზიკურ, ან იურიდიულ პირს, საჯარო ორგანოს, სააგენტოს, ან სხვა ორგანოს, რომელიც პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, დამოუკიდებლად, ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს.

„**GDPR**“ ნიშნავს: (i) რეგულაცია (EU) 2016/679 (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია); ან (ii) გაერთიანებულ სამეფოსთან დაკავშირებით, რეგულაცია (EU) 2016/679, რამდენადაც ის წარმოადგენს გაერთიანებული სამეფოს სამართლის ნაწილს 2018 წლის ევროკავშირიდან (გასვლის) აქტის მე-3 პუნქტის საფუძველზედა პერიოდული შესწორებებით. (ასევე ცნობილია, როგორც გაერთიანებული სამეფოს GDPR).

„**პერსონალური მონაცემები**“ ნიშნავს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც იდენტიფიცირებულ, ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს ეხება.

„**დამუშავება**“/„**დამუშავება**“ ნიშნავს ნებისმიერ ოპერაციას, ან ოპერაციების ერთობლიობას, რომელიც შესრულებულია პერსონალურ მონაცემებზე, ან პერსონალურ მონაცემთა ნაკრებებზე, როგორიცაა შეგროვება, ჩაწერა, ორგანიზება, სტრუქტურირება, შენახვა, ადაპტაცია ან შეცვლა, ძებნა, კონსულტაცია, გამოყენება, გამჟღავნება გადაცემით, გავრცელებით, ან სხვაგვარად ხელმისაწვდომობით, გასწორებით, ან კომბინირებით, შეზღუდვით, წაშლით ან განადგურებით.

„**დამამუშავებელი**“ ნიშნავს ფიზიკურ, ან იურიდიულ პირს, საჯარო ორგანოს, სააგენტოს, ან სხვა ორგანოს, რომელიც მაკონტროლებლის სახელით პერსონალურ

მონაცემებს ამუშავებს.

22. ცვლილებები ადგილობრივ კანონში

ადგილობრივი კანონმდებლობის შემდეგი ცვლილებები გამოიყენება:

ავსტრია

რაც 13.3 პუნქტს უკავშირდება („მარკეტინგი“):

სამართლებრივი საფუძველი: მარკეტინგის მოქმედი ადგილობრივი კანონია ავსტრიის ტელეკომუნიკაციების შესახებ 2021 წლის კანონის 174(4) პუნქტი.

მონაცემთა დაცვის ორგანო:

ავსტრიის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაციაა: ÖsterreichischeDatenschutzbehörde, Barichgasse 40-42, 1030 Vienna, Austria, ტელეფონი: +43 (0)1 52 152-0, ელფოსტა: dsb[at]dsb.gv.at, ვებგვერდი: http://www.dsb.gv.at/

ბელგია

13.3 პუნქტთან („მარკეტინგი“) დაკავშირებით:

სამართლებრივი საფუძველი: მოქმედი ადგილობრივი მარკეტინგის კანონი, 2003 წლის 4 აპრილის სამეფო ბრძანებულების 1-ლი მუხლია.

მონაცემთა დაცვის ორგანო:

ბელგიის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაციაა: Autorité deprotection des données Gegevensbeschermingsautoriteit, Rue de la presse 35,1000 Brussels, Belgium, ტელეფონი: +32 (0) 2 274 48 00, ფაქსი: + 32 (0)2 274 4835, ელფოსტა: contact[at]apd-gba.be, ვებგვერდები: https://www.autoriteprotectiondonnees.be /https://www.gegevensbeschermingsautoriteit.be

ბულგარეთი

13.3 პუნქტთან („მარკეტინგი“) დაკავშირებით:

იურიდიული საფუძველი: მარკეტინგის მოქმედი ადგილობრივი კანონია ბულგარეთის ელექტრონული კომუნიკაციების აქტის მუხ. 261 (2).

მონაცემთა დაცვის ორგანო:

ბულგარეთის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაციაა: Commission for Personal Data Protection of the Republic of Bulgaria, 2 Prof. Tsvetan Lazarov Blvd., Sofia1592, Bulgaria, ტელეფონი: +359 (0) 2 915 3580, ელფოსტა: kzld[at]cpdp.bg, ვებგვერდი: www.cpdp.bg

კვიპროსი

მონაცემთა დაცვის ორგანო:

კვიპროსის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაციაა: Office of the Commissioner for Personal Data Protection, Kypranoros 15, 1061 Nicosia, Cyprus, ტელეფონი: +357(0) 22 818 456, ელფოსტა: commissioner[at]dataprotection.gov.cy, ვებგვერდი: http://www.dataprotection.gov.cy/

ჩეხეთის რესპუბლიკა

მონაცემთა დაცვის ორგანო:

ჩეხეთის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაციაა: Úřad pro ochranu osobních údajů, Pplk. Sochora 27, 170 00 Prague 7, Czech Republic, ტელეფონი: +420(0) 234 665 800, ელფოსტა: posta[at]uoou.gov.cz, ვებგვერდი: http://www.uoou.cz/

დანია

მონაცემთა დაცვის ორგანო:

დანიის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგია:

Datatilsynet, Carl Jacobsens Vej 35, 2500 Valby, Denmark, ტელეფონი: +45 (0) 33 1932 00, ელფოსტა: dt[at]datatilsynet.dk, ვებგვერდი: http: //www.datatilsynet.dk/

ესტონეთი

მონაცემთა დაცვის ორგანო:

ესტონეთის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგია: Andmekaitse Inspektsioon, Tatari 39, Tallinn 10134, Estonia, ტელეფონი: +372 (0) 627 4135, ელფოსტა: info[at]aki.ee, ვებგვერდი: http:// www.aki.ee/

ფინეთი

მონაცემთა დაცვის ორგანო:

ფინეთის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგია: Tietosuojavaltuutetun toimisto, Lintulahdenkuja 4, 00530 Helsinki, Finland, ტელეფონი: +358 (0) 29 566 6700, ელფოსტა: tietosuoja[at]om.fi, ვებგვერდი: https:/ /tietosuoja.fi

საფრანგეთი

14 პუნქტთან („თქვენი უფლებები“) დაკავშირებით:

სიკვდილის შემდგომი კონფიდენციალურობა: თქვენ ასევე უფლება გაქვთ, თქვენი სიკვდილის შემდეგ, თქვენი პერსონალური მონაცემების შენახვის, წაშლისა და გადაცემის შესახებ, კონკრეტული ინსტრუქციები განსაზღვროთ.

მონაცემთა დაცვის ორგანო:

საფრანგეთის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგია: Commission Nationale de l'Informatique et des Libertés, 3 Place de Fontenoy TSA 80715, 75334 Paris, Cedex 07, France, ტელეფონი: +33 (0) 1 53 73 22 22 , ვებგვერდი: https://www.cnil.fr/

საბერძნეთი

ნაწილი 13.3 („მარკეტინგი“) შემდეგნაირად უნდა შეიცვალოს:

თუ თქვენ უკვე არსებული მომხმარებელი ხართ და თქვენი ელფოსტის მისამართი წინააღმდეგობის უფლებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, 14.6 ნაწილის შესაბამისად მოგვაწოდეთ, ჩვენ შეიძლება თქვენგან წინასწარი კონკრეტული თანხმობის მოთხოვნის გარეშე, ელფოსტით ისეთი მარკეტინგული შეტყობინებები გამოგიგზავნოთ, რომლებიც იმ პროდუქციას ან სერვისებს ეხება, რომელთა მსგავსი პროდუქტები და სერვისები ადრე შეიძინეთ. ეს იმას უკავშირდება, რომ ასეთ შემთხვევებში თქვენგან, როგორც არსებული მომხმარებლისგან, კონკრეტული თანხმობა საჭირო არ არის. ეს ასევე ეხება თქვენთვის ინფორმაციის გამოგზავნას Kia Connect აპის შეტყობინებების მეშვეობით იმ საფოსტო ყუთში, რომელიც აპის შიგნით ცალკეა ხელმისაწვდომი. ამის მიუხედავად, ასეთი მარკეტინგული ელფოსტის მიღებაზე უარის თქმა ნებისმიერ დროს, რაიმე ხარჯის გაწევის გარეშე (გარდა გადაცემის ხარჯებისა საბაზისო ტარიფების შესაბამისად) (მაგ. Kia Connect აპში, „სერვისებთან დაკავშირებული რეკლამის“ სიაში შესაბამისი ღილაკების გამორთვით) შეგიძლიათ. თქვენ ასევე შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს გააუქმოთ ჩვენი სააქციო ელფოსტის გამოწერა, რისთვისაც გამოწერის გაუქმების იმ ბმულზე უნდა დააწკაპუნოთ, რომელსაც ჩვენ მიერ გამოგზავნილი ყველა სააქციო ელფოსტა შეიცავს. თქვენ ასევე უფლება გაქვთ, თქვენი პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგული მიზნებისთვის დამუშავებას შეეწინააღმდეგოთ (დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ნაწილი 14.6).

ამ მიზნით, შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება:

სახელი, საკონტაქტო დეტალები (მაგ. ელფოსტა), ტექნიკური მონაცემები (მაგ. მოწყობილობის ინფორმაცია, IP მისამართი, მომხმარებლის ID, UUID), ინფორმაცია თქვენი თანხმობის შესახებ(მაგ. დათანხმების თარიღი და დრო).

სამართლებრივი საფუძველი: დამუშავება თქვენს წინასწარ თანხმობაზეა დაფუძნებული (მუხლი 6(1) ა) GDPR; მუხლი 11, კანონი 3471/2006 ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პერსონალური მონაცემებისა და კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ), ან აუცილებელია კანონიერი ინტერესებისთვის, რომლებსაც ჩვენ ვიცავთ (მუხლი 6(1) f) GDPR). ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებია: ჩვენი სერვისებისა და პროდუქტების პოპულარიზაცია.
მონაცემთა დაცვის ორგანო:
საბერძნეთის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგია: Hellenic Data Protection Authority, Kifissias 1-3, 11523, Athens, Greece, ტელეფონი: +30 (0) 210 6475 600, ელფოსტა: contact[at]dpa.gr, ვებგვერდი: http://www.dpa.gr/

უნგრეთი

მონაცემთა დაცვის ორგანო:
უნგრეთის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგია: Nemzeti Adatvédelmi és Információszabadság Hatóság, Falk Miksa utca 9-11, 1055 Budapest, Hungary, ტელეფონი: +36 (0)1 391 1400, ფაქსი: +3 391 1410, ელფოსტა: ügyfelszolgalat[at]naih.hu, ვებგვერდი: http://naih.hu/

ირლანდია

ნაწილი 6 („ავტომობილის სავალდებულო ინსპექტირების შეხსენებები“) შემდეგნაირად უნდა შეიცვალოს:
ავტომობილის სავალდებულო ინსპექტირების შეხსენებები (როგორიცაა NCT ირლანდიაში): ჩვენ ავტომობილების მოახლოებული სავალდებულო ინსპექტირების შესახებ შეგატყობინებთ, მაგალითად, ირლანდიაში არსებული ავტომობილებისთვის შეგატყობინებთ ავტომობილის ტესტირების ეროვნული სამსახურის შესახებ (ჩვეულებრივ მოხსენიებული, როგორც „**NCT**“). ამ სერვისით სარგებლობა მოითხოვს, რომ Kia-ს ავტომობილის ბოლო სავალდებულო შემოწმების ზუსტი თარიღი და ავტომობილის პირველადი რეგისტრაციის თარიღი მიაწოდოთ.
მონაცემთა დაცვის ორგანო:
ირლანდიის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგია: Data Protection Commission, 21 Fitzwilliam Square, D02 RD28 Dublin 2, Ireland, ტელეფონი: +353 (0) 1 7650100, ელფოსტა: info[at]dataprotection.ie, ვებგვერდი: http://www.dataprotection.ie/

იტალია

Kia თქვენი თანხმობის გარეშე, თქვენს პერსონალურ მონაცემებს პროფილის მიზნებისთვის არავითარ შემთხვევაში არ დაამუშავებს.
მონაცემთა დაცვის ორგანო:
იტალიის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგია: Garante per la Protezione dei Dati Personali, Piazza Venezia n. 11, 00187 Rome, Italy, ელფოსტა: garante[at]gpdp.it, ტელეფონი: +39 (0) 06 69677 1, ფაქსი: +39 (0) 06 69677 785, ვებგვერდები: https://www.gpdp.it , https://www.garanteprivacy.it/

ლატვია

მონაცემთა დაცვის ორგანო:
ლატვიის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგია: Datu valsts inspekcija (მონაცემთა სახელმწიფო ინსპექტორატი), Elijas Street 17, LV-1050 Riga, Latvia, ტელეფონი: +371 (0) 6722 3131, ელფოსტა: pasts[at]dvi .gov.lv, ვებგვერდი: https://www.dvi.gov.lv/

ლიეტუვა

მონაცემთა დაცვის ორგანო:
ლიტვის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგია: Valstybinė

duomenų apsaugos inspekcija (მონაცემთა დაცვის სახელმწიფო ინსპექცია), L. Sapiegos str. 17, 10312 Vilnius, Lithuania, ტელეფონი: +370 (0) 5 271 2804 / +370 (0) 5 279 1445, ელფოსტა: ada[at]ada.lt, ვებგვერდი: https://vdai.lrv.lt/lt /

ნიდერლანდები

მონაცემთა დაცვის ორგანო:

ჰოლანდიის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგია: Autoriteit Persoonsgegevens, Hoge Nieuwstraat 8, 2514 EL Den Haag, The Netherlands, ტელეფონი: +31 (0) 70 888 8500, ვებგვერდი: https://autoriteitpersoonsgegevens.nl/

ნორვეგია

ნაწილი 4 („მესამე მხარის მიერ ავტომობილის ან სერვისების გამოყენება“) შემდეგნაირად შეიცვლება:

Kia Connect-ის გამოყენების პირობების 10.2 ნაწილი მოითხოვს, რომ მანქანის ნებისმიერ სხვა მომხმარებელს/მძღოლს აცნობოთ: (i) სერვისების გააქტიურების შესახებ; (ii) მონაცემთა დამუშავების შესახებ, რომლებიც კონფიდენციალურობის ამ შეტყობინებაშია აღწერილი; და (iii) იმის შესახებ, რომ სერვისებმა შეიძლება მდებარეობის მონაცემების (GPS მონაცემები) შეგროვება და დამუშავება მოითხოვოს.

მონაცემთა დაცვის ორგანო: ნორვეგიის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია ასეთია: Datatilsynet, P.O. Box 458 Sentrum, 0105 Oslo, Norway, ტელეფონი: +47 (0) 22 39 69 00, ელფოსტა: postkasse[at]datatilsynet.no, ვებგვერდი: https://www.datatilsynet.no

პოლონეთი

13.3 პუნქტთან დაკავშირებით („მარკეტინგი“):

გარდა ამისა, ელექტრონულ და სატელეფონო მარკეტინგის შედეგებზე თანხმობა, ასევე პოლონეთის ტელეკომუნიკაციების კანონის 172-ე მუხლისგან და ელექტრონული სერვისების მიწოდების შესახებ კანონის მე-10 მუხლისგან გამომდინარეობს.

მონაცემთა დაცვის ორგანო:

პოლონეთის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგია: Prezes Urzędu Ochrony Danych Osobowych, Urząd Ochrony Danych Osobowych, ul. Stawki 2, 00 -193 Warszawa, Poland, ტელეფონი: +48 (0) 22 531 03 00, ელფოსტა: kancelaria[at]uodo.gov.pl, ვებგვერდი: https://uodo.gov.pl/

პორტუგალია

ნაწილი 6 1-ლი პარაგრაფი („ავტომობილის სავალდებულო ტექნიკური შემოწმების შეხსენებები“) შემდეგნაირად შეიცვალოს:

ავტომობილის სავალდებულო ტექნიკური შემოწმების შეხსენებები (როგორიცაა „Inspeção Automóvel“ პორტუგალიაში): ჩვენ შეგატყობინებთ ავტომობილის მოახლოებული სავალდებულო ტექნიკური შემოწმების შესახებ, მაგ. შეხსენებებს პორტუგალიაში მანქანების „პერიოდული ტექნიკური შემოწმების“ შესახებ. ამ სერვისით სარგებლობა მოითხოვს, რომ Kia-ს ავტომობილის ბოლო სავალდებულო შემოწმების ზუსტი თარიღი და ავტომობილის პირველადი რეგისტრაციის თარიღი მიაწოდოთ.

13.3პუნქტთან დაკავშირებით („მარკეტინგი“):

სამართლებრივი საფუძველი: მოქმედი ადგილობრივი მარკეტინგის კანონია 41/2004 კანონის მუხლი 13.º-A.

მონაცემთა დაცვის ორგანო:

პორტუგალიის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგია: Comissão Nacional de Proteção de Dados (CNPD), Av. D. Carlos I, 134, 1º, 1200-

651 Lisboa, Portugal, ტელეფონი: +351 (0) 21 392 84 00, ელფოსტა: geral[at]cnpd.pt, ვებგვერდი: www.cnpd.pt

რუმინეთი

მონაცემთა დაცვის ორგანო:

რუმინეთის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგია: The National Supervisory Authority for Personal Data Processing, 28-30 G-ral Gheorghe Magheru Bld, District 1, 010336 Bucharest, Romania, ტელეფონი: +40 (0) 318 059 211, ფაქსი +40 (0) 318 059 602, ელფოსტა: anspdcp[at]dataprotection.ro, ვებგვერდი: https://www.dataprotection.ro/

სლოვაკეთი

13.3 პუნქტთან დაკავშირებით („მარკეტინგი“):

სამართლებრივი საფუძველი: თანხმობასთან დაკავშირებით, სამართლებრივი საფუძველია მუხლი 6 (1) a) GDPR, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ სლოვაკეთის კანონის („AEC“) პუნქტ 116 (3)-თან ერთად. რაც შეეხება აუცილებლობას, რომელსაც კანონიერი ინტერესის მიზნით მივყვებით, სამართლებრივი საფუძველია მუხლი 6 (1) f) GDPR, პუნქტი 116 (15) AEC-თან ერთად. ჩვენი ლეგიტიმური ინტერესებია: ჩვენი სერვისებისა და პროდუქტების პოპულარიზაცია.

მონაცემთა დაცვის ორგანო:

სლოვაკეთის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგია: Úrad na ochranu osobných údajov Slovenskej republiky, Hraničná 12, 820 07 Bratislava 27, Slovak Republic, ტელეფონი: + 421 (0) 2 32 31 32 statny4, ელფოსტა: zordo statny14. [at]pdp.gov.sk, ვებგვერდი: http://www.dataprotection.gov.sk/

ესპანეთი

პუნქტი 14.1 პარაგრაფი 2 („წვდომის უფლება“) შემდეგნაირად უნდა შეიცვალოს:

თქვენ შეიძლება დამუშავებული პერსონალური მონაცემების ასლის მიღების უფლება გქონდეთ. თქვენ მიერ ექვსი თვის განმავლობაში მოთხოვნილი შემდგომი ასლებისთვის, თუ ამის სამართლებრივი მიზეზი არ არსებობს, ადმინისტრაციული ხარჯებიდან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება გონივრული გადასახადი დავაწესოთ.

მონაცემთა დაცვის ორგანო:

ესპანეთის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგია: Agencia Española de Protección de Datos (AEPD), C/Jorge Juan, 6, 28001 Madrid, Spain, ტელეფონი: +34 (0) 91 266 3517, ელფოსტა: internacional[at]aepd.es, ვებგვერდი: https://www.aepd.es/

შვედეთი

პუნქტი 14.5 („მონაცემთა გადატანის უფლება“) შემდეგნაირად უნდა შეიცვალოს:

გარკვეულ გარემოებებში, მაგალითად, თუ მუხლი 6 (1) a, ან მუხლი 6 (1) b GDPR, დამუშავების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს, თქვენ შეიძლება უფლება გქონდეთ, თქვენს შესახებ პერსონალური მონაცემები მიიღოთ, რომლებიც სტრუქტურირებულ, ჩვეულებრივ გამოყენებად და მანქანით წაკითხვად ფორმატში მოგვაწოდეთ და შეიძლება ამ მონაცემების სხვა კონტროლიორისთვის, ჩვენგან დაუბრკოლებლად გადაცემის უფლება გქონდეთ.

მონაცემთა დაცვის ორგანო:

შვედეთის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგია: Integritetsskyddsmyndigheten, Drottninggatan 29, Box 8114, 104 20 Stockholm, Sweden, ტელეფონი: +46 (0) 8 657 6100, ელფოსტა: imy[at]imy.se, ვებგვერდი: http://www.imy.se/

შვეიცარია

მონაცემთა დაცვის ორგანო: შვეიცარიის მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგია: Eidgenössischer Datenschutz - und Öffentlichkeitsbeauftragter (**EDÖB**), Feldeggweg 1,3003 Bern, Switzerland, ტელეფონი: +41 (0) 58 462 43 95, ვებგვერდი: https://www. edoeb.admin.ch
პუნქტი 16 შემდეგი ინფორმაციით უნდა დაემატოს: თქვენი პერსონალური მონაცემები შემდეგ ქვეყნებში/იურისდიქციებში ინახება: [მსოფლიოში].
რაც შეეხება GDPR-ზე მითითებებს, რამდენადაც შვეიცარიის მონაცემთა დაცვის და მასთან დაკავშირებული კანონები გამოიყენება, GDPR-ის მუხლებზე მითითებები უნდა განიხილებოდეს, როგორც 2023 წლის 1 სექტემბრის („FADP“) მონაცემთა დაცვის შესახებ, შვეიცარიის ფედერალური კანონის შესაბამის მუხლებზე მითითება, UWG-ის სექციებზე მითითებები კი უნდა განიხილებოდეს, როგორც მითითებები შვეიცარიის არასამართლიან კონკურენციასთან ბრძოლის ფედერალური კანონის (“შვეიცარიის UWG”) შესაბამის მუხლებზე, კერძოდ:

- მუხლი 6 (1) b) GDPR უნდა იკითხებოდეს, როგორც FADP-ის მუხლი 6, როდესაც ხელშეკრულების აღსრულების მიზნებისათვის არის მითითებული;
- მუხლი 6 (1) f) GDPR უნდა იკითხებოდეს, როგორც FADP-ის მუხლი 31 პარაგრაფი 1;
- მუხლი 6 (1) c) GDPR უნდა იკითხებოდეს, როგორც FADP-ის მუხლი 31;
- მუხლი 6 (1) a) GDPR უნდა იკითხებოდეს, როგორც FADP-ის მუხლი 31;
- UWG-ის პუნქტი 7 (2) No 2 უნდა იკითხებოდეს, როგორც შვეიცარიული UWG-ის მუხლი 3 პარაგრაფი, ქვეპუნქტი 1;
- მითითებები 7(3) მუხლზე GDPR უნდა იკითხებოდეს, როგორც FADP-ის მსგავს პრინციპებზე მითითება;
- მუხლი 15 GDPR უნდა იკითხებოდეს, როგორც FADP-ის მუხლი 25;
- მუხლი 16 GDPR უნდა იკითხებოდეს, როგორც FADP-ის მუხლი 32;
- მუხლი 17 GDPR უნდა იკითხებოდეს, როგორც FADP-ის მუხლი 32;
- მუხლი 18 GDPR უნდა იკითხებოდეს, როგორც FADP-ის მუხლი 32;
- მუხლი 20 GDPR უნდა იკითხებოდეს, როგორც FADP-ის მუხლი 28;
- მუხლი 21 და (2) GDPR უნდა იკითხებოდეს, როგორც FADP-ის მუხლი 30, პარაგრაფი 2, ქვეპუნქტი b;
- მუხლი 77 GDPR უნდა იკითხებოდეს, როგორც FADP-ის მუხლი 49;
- მუხლი 28(3) GDPR უნდა იკითხებოდეს, როგორც FADP-ის მუხლი 9;

გაერთიანებული სამეფო
ნაწილს 16 („მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადაცემა“) შემდეგი დაემატება: ევროკომისიის მიერ განსაზღვრული „ადეკვატური იურისდიქციების“ მსგავსად, გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ გადაწყვიტა, რომ გარკვეული ქვეყნები (იხ. https://ico.org.uk/for-organisations/uk-gdpr-guidance-and-resources/international-transfers/international-transfers-a-guide/#adequacy) პერსონალური მონაცემების დაცვის ადეკვატურ დონეს, გაერთიანებული სამეფოს GDPR-ის 45-ე მუხლის შესაბამისად („**ადეკვატურობის რეგლამენტი**“) უზრუნველყოფდეს. თუ ჩვენ პერსონალურ მონაცემებს გადავცემთ მიმღებს, რომელიც მესამე ქვეყანაში იმყოფება და ადეკვატურ იურისდიქციად აღიარებული არ არის, ან ადეკვატურობის

რეგლამენტს არ შეესაბამება, ჩვენ (ან ჩვენი დამმუშავებლები დიდ ბრიტანეთში/ევროკავშირში/EEA-ში, რომლებიც სიტუაციიდან გამომდინარე, პერსონალურ მონაცემებს ასეთ მესამე ქვეყნებში ქვედამმუშავებლებს გადავცემთ) ევროკომისიის (სტანდარტული სახელშეკრულებო დებულებები) ან გაერთიანებული სამეფოს (თუკი გამოიყენება) მიმღებებთან მონაცემთა გადაცემაზე შეთანხმებებს ვაფორმებთ ან სხვა ქმედით ზომებს ვიღებთ, რათა მონაცემთა დაცვის ადეკვატური დონე უზრუნველვყოთ. შესაბამისი ქმედითი ზომების ასლის მოთხოვნა ჩვენგან ან ჩვენი DPO-სგან შეგიძლიათ (იხ. 2 და 3 პუნქტები).

<u>მონაცემთა დაცვის ორგანო</u>:

გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის ორგანოს საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგია: Information Commissioner’s Office, Wycliffe House, Water Lane, Wilmslow, Cheshire, SK9 5AF, ტელეფონი: +44 (0) 303 123 1113, ვებგვერდი: https://ico.org .uk/